




სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი
გამოცემა 1957 წლიდან

№2-3 (300-301) თებერვალი-მარტი, 2017 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი წარმატების საუკუნოვანი ისტორია



- WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორიებში თსუ-ის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
- ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) და MEDINE-ს სამუშაო ჯგუფებში სამედიცინო განათლების სტანდარტების და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების თანამონაწილე ევროკავშირის 39 უნივერსიტეტთან ერთად.
- ყოველწლიურად აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, თურქეთის, ისრაელის, კანადის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების დღიური და პრაქტიკული მეცადინეობა (2012-2016 წლებში 350 მეტი პროფესორი ეწვია თსუ-ს) – მაღალი სტანდარტის თვალსაჩინო მაგალითი.
- მიმზიდველი 2000-ზე მეტი უცხოელი სტუდენტისთვის მსოფლიოს 60 ქვეყნიდან.
- 120-ზე მეტი უნივერსიტეტისა და კლინიკის პარტნიორი მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში.
- ყოველწლიურად 300-მდე სტუდენტისა და რეზიდენტის სტაჟირების ორგანიზატორი უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებსა და საუნივერსიტეტო კლინიკებში.
- განხორციელებული ერთობლივი საერთაშორისო პროგრამები:
 - ✓ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა – თსუ-ისა და ემორის სა-მედიცინო სკოლა (ატლანტა, აშშ);
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მეწვემენტის საბაკალავრო პროგრამა – თსუ მეწვემენტისა და აღსრულების აკადემია – „უნიმენი“ (საფრანგეთი);
 - ✓ საექთნო საქმის ქართულ-აგსტროლი საბაკალავრო პროგრამა (ინსბრუკი, ავსტრია);
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მეწვემენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ერ-სტრია;
 - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტელსურენოვანი სამაგისტრო პროგრამა – თსუ თბილისის საერთაშორისო ინტელსურენოვანი სამაგისტრო პროგრამა – თსუ და „უნიმენი“ (საფრანგეთი);
- ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამა – ERASMUS MUNDUS-ის ფარგ-ლებში შექმნილი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი სამედიცინო უნივერსიტეტების კონსორციუმის – MEDEA (Medical Universities Alliance) პრო-ექტის ინიციატორი და რეკონსტრუქციის კოორდინატორი; დღეს წარმატებით მუშა-ობს მისი მემკვიდრე – ERASMUS MUNDUS+

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – გაცვლითი პროგრამა – MEVLANA-ს მონაწილე – მობილობა თურქეთისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პოსტსადოქტორო საფეხურებზე;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალტექნოლოგიური საუნივერსიტეტო კლინიკები:
 - ✓ თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა;
 - ✓ გ. ჯვინიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა;
 - ✓ თსუ-ის აკ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიის კლინიკა;
 - ✓ თსუ-ის N1 სტომატოლოგიის კლინიკა;
 - ✓ თსუ-ის N2 სტომატოლოგიის კლინიკა;
- სრულად მოდერნიზებული კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი და მის ბაზაზე განხორციელებული ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკური გამოცდე-ბი (OSCE);
- ფონდ – „ლია საზოგადოება – საქართველოს“ და ინფორმაციის თავისუფლე-ბის განვითარების ინსტიტუტის ნომინაციის – საჯარო ინფორმაციის ხელმი-საწვდომობისა და გამჭვირვალე საქმიანობისთვის – ოთხგზის გამარჯვებული (2012 – 2013, 2014, 2015, 2016).

ერთდერთი სამედიცინო უნივერსიტეტი საკუთარი ჰინიკური ბაზებით





ქალბატონებო და ბატონებო, მოგაწვავთ კოლეგებო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უმაღლესი სამედიცინო განათლების ძირითადი კერაა საქართველოში, განვითარების თითქმის ასწლოვანი ისტორიით. ასეთივე ხანდაზმულობისა უმაღლესი სამედიცინო განათლებაც საქართველოში. საამაყოა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომელთა რიცხვი 40 000-ზე მეტია, სადღეისოდ ბევრ წამყვან კლინიკას და დაწესებულებას ამშვენებენ საქართველოში, ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

დიდი და საპატიოა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულებისას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს მისი საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპებით:

- ცოდნისა და კვლევების აკადემიური ხარისხი;
- დემოკრატიულობა;
- მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.

დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა სამედიცინო უნივერსიტეტს მიმზიდველს ხდის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს თითქმის ხუთ ათეულზე მეტი ქვეყნის ახალგაზრდებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები სრულად შეესაბამება ევროპული საგანმანათლებლო სისტემის მიდგომებს, მეტიც, ჩვენ მნიშვნელოვანწილად თავად ემონაწილეობთ ამ პრინციპების შემუშავებაში.

❖ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილი წევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონებაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში საზღვარგარეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

სამედიცინო განათლების გამოცდილი და წარმატებული სტანდარტების და მიდგომების რეალიზება სამედიცინო უნივერსიტეტში არა მარტო ტრადიციული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას უზრუნველყოფს; ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა, საკუთარი მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება და სამედიცინო სერვისისადმი თანამედროვე გამოწვევების ღირსეულად დაძლევის ამოცანა თამამი, ინოვაციური ნაბიჯების გადადგმისკენ გვიბიძგებს.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეემატა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები:

❖ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც ემორის (ატლანტა, აშშ) უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება;

❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სადაც ჩვენი პარტნიორები პარიზის მენეჯმენტისა და ალსრულების აკადემია UniMan და გრენობლის (საფრანგეთი) უნივერსიტეტი. პროგრამის დასრულების შემდეგ ორი - ქართული და ფრანგული - დიპლომი გაიცემა;

❖ საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც თსსუ-ის პარტნიორია TILAK-ის დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი - AZW (ინსბრუკი, ავსტრია).

❖ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ქართულ-ფრანგული სამაგისტრო პროგრამა, რომელიც პარიზის მენეჯმენტისა და ალსრულების აკადემია UniMan-

თან (საფრანგეთი) თანამშრომლობით არის შექმნილი.

სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობს TEMPUS-ის არაერთ საერთაშორისო პროექტში და გაცვლით პროგრამებში - Erasmus Mundus da MEVLANA, რაც უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის აქტიურ ჩართვაზეა ორიენტირებული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას მასწავლებლებზე ორიენტირებული სისტემის საპირისპიროდ (რომელიც დროზე არაა დამოკიდებული და აპრიორი ემყარება დაშვებას, რომ პროფესორმა იცის, რა უნდა ასწავლოს სტუდენტს). სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს კურიკულუმის დაგეგმვას, იგი სასწავლო პროგრამის სტუდენტისთვის ვარგისიანობაზეა ფოკუსირებული, გამომდინარე საზოგადოებაში მისი მომავალი სოციალური და პროფესიული როლიდან.

ამიტომაც, საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და, რაც მთავარია, პროგრამების განხორციელების ხარისხის ინდიკატორს ერთ-ერთი მექანიზმი სტუდენტების და კურსდამთავრებულების შეფასების კვლევა და შედეგების კრიტიკული ანალიზია. საამისოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია მრავალგვარი სამიზნე კითხვარი და კრიტერიუმი, რომელთა გამოყენებაში და ინტერპრეტაციაში, ხარისხის სამსახურთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. ეს ყოველივე განსაზღვრავს კურიკულუმის სწორად დაგეგმვას, მისი განხორციელების ეფექტურობის, შედეგების ობიექტური, გაზომვადი კრიტერიუმებით შესწავლის და შეფასების პროცესთა ჯაჭვის არსებობას.

ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრს - აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს - შქონდა, აქვს და ექნება პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

თუ თქვენი არჩევანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის ნევრობაა, გარწმუნებთ, რომ ამ გადაწყვეტილების წარმატებით რეალიზების საქმეში დღეს, ხვალ და მუდამ თავისი ცოდნით და ავტორიტეტით თქვენ გვერდითაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტობა.

პროფესორი
ზურაბ პალაჭორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

სტუდენტური თვითმმართველობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტების მიერ არჩეულ გუნდია, რომლის კომპეტენცია უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტების წარდგენა და ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩართვაა.

2016 წელს სტუდენტებმა აირჩიეს თვითმმართველობის ახალი შემადგენლობა, რომლის წევრებიც არიან არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი სტუდენტებიც. პრეზიდენტი გიორგი მიქაძე და ახალი გუნდი საქმეს სრული პასუხისმგებლობით, ახალი იდეებითა და ინოვაციური პროექტების განხორციელებით შეუდგა.

სტუდენტური თვითმმართველობის მიზანია სტუდენტებისთვის აქტიური, საინტერესო, ინფორმატიული და სახალისო გარემოს შექმნა, რომელიც მიმართული იქნება თავისუფალი იდეების და შემოქმედებითი პროექტების განხორციელებისკენ; ასევე, მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სემინარებისა და კონფერენციების მოწყობას როგორც საუნივერსიტეტო სივრცეში,



ისე - გასვლითი პროგრამებით; აგრეთვე - სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებას და სოციალური პროექტების ხელშეწყობას.

ამ მხრივ აღსანიშნავია „სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად 40 სტუდენტი ფინანსდება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.

რაც მთავარია, ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია აქტივობებში ჩართვა, რადგან თვითმმართველობა თავისუფალი ორგანიზაციაა, რომლის კარი ყველა სტუდენტისთვის ღიაა. ეს ერთი დიდი სტუმართმოყვარე ოჯახია და მუდმივად მზადაა ახალი წევრის მისაღებად.

თსსუ-ის თვითმმართველობა, ისე-

ვე, როგორც თავად უნივერსიტეტი, დიდ პატივს სცემს ტრადიციებს და ამ ტრადიციებზე დაყრდნობით ვითარდება.

სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურად თანამშრომლობს თსსუ-ში არსებულ ორგანიზაციებთან: ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, ჯანდაცვის განვითარების ახალგაზრდული ორგანიზაცია, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ახალგაზრდული ორგანიზაცია, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი - „კოზა-ნოსტრა“, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია - თბილისი (EMSA), ევროპის ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაცია - საქართველო (GPSA) ალიანსი - „ჯანმრთელობა საზოგადოებისთვის“, ევროპის დანტისტ სტუდენტთა ასოციაცია - თბილისი (EDSA), თბილისის მოხალისეთა გაერთიანება, საზოგადოებრივი აზრი, თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა აქტიური, მრავალფეროვანი და დაუფინანსო სტუდენტური ცხოვრების გარანტია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი გამორჩეული და აღიარებული არა მარტო საქართველოში, არამედ – მთელ კავკასიაში. მედიცინის ფაკულტეტზე, ტრადიციულად, ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი აკეთებს არჩევანს – ექიმობის მსურველებს საშუალება აქვთ, მიიღონ საერთაშორისო კლასის განათლება, რაც მათ გზას უხსნის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დიპლომის შემდგომი განათლების მისაღებად და სამუშაოდ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აფასებს ახალგაზრდების გადარჩევნილებას ამ ურობის, მაგრამ, ამასთანავე, მეტად ჰუმანური და საინტერესო პროფესიის არჩევის გამო, ითვალისწინებს მათ გულწრფელ სურვილს, ახლო მომავალში, დაავადებათა პრევენციითა და მკურნალობით გააუმჯობესონ ადამიანთა ცხოვრება და მოუწოდებს მათ, გამოიყენონ ყველა ის შესაძლებლობა, რასაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სთავაზობს, ნუ დაზოგავენ დროსა და ენერჯიას მიზნის მისაღწევად.

აქ ყველაფერი თავად სტუდენტზე და მოკიდებულია. ვისაც ნამდვილად სურს, მომავალი დაუკავშიროს მედიცინას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი მის მიერ გაკეთებული საუკეთესო არჩევანია!

მედიცინის ფაკულტეტის ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური და სრულფასოვანი ექიმები, ამასთანავე, ჭეშმარიტების მაძიებელი მკვლევრები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ხელი შეუწყონ სტუდენტთა შესაძლებლობების, მოტივაციის მაქსიმალურ გამოვლენას, როგორც დიპლომამდელ, ასევე, დიპლომის შემდგომი განათლებისა და მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში.

მედიცინის ფაკულტეტი ამჟამად ოთხი ათასამდე სტუდენტს ითვისს, მათ შორის, 34% უცხოელია. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე განათლების მიღების მსურველ უცხოელთა რიცხვი გაცილებით მეტია, რის გამოც ჩარიცხვამდე მათ სერიოზული კონკურსის გავლა უწევთ. ზრდა მიზანი არაა სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, არამედ მათი სწავლების ხარისხის სრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება.

მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება 2 პროგრამა:

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა (სწავლების ენა: ქართული, რუსული, ინგლისური),
- დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (სწავლების ენა – ინგლისური).

დიპლომამდელი სწავლება ერთსაფეხურიანია და მისი ხანგრძლივობა 6 წელია. ორივე პროგრამის მიზანია, აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური ექიმები, რომლებსაც აქვთ დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის საჭირო ცოდნა და კლინიკური პრობლემების გადასაჭრელად ამ ცოდნის გამოყენების უნარი. ისინი მზად

მედიცინის ფაკულტეტი



არიან დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ. სამედიცინო კადრი მზადდება ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებული მედიკოსი შეიძლება

- დასაქმდეს უმცროს ექიმად, რომელიც მუშაობს ექიმი სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ან
- სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში.

რეზიდენტურის დასრულების შემდეგ ის ხდება ექიმი სპეციალისტი: თერაპევტი, ქირურგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი, გინეკოლოგი, ნევროპათოლოგი, პედიატრი, ფსიქიატრი და სხვ.

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ მას ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი მედიცინაში.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (US MD-Doctor of Medicine Degree Program) შემუშავდა და ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს, რომელსაც ჩაბარებული ექნება ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდები, შეუძლია დიპლომის შემდგომი განათლება მიიღოს და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ (აშშ და სხვ).

ექიმობა არის რთული და, ამასთანავე, მეტად პრესტიჟული პროფესია. ექიმი სწავლობს მთელი ცხოვრების მანძილზე, რათა პრაქტი-

კული საქმიანობა აწარმოოს სამედიცინო სფეროში განხორციელებული ახალი მიღწევების გამოყენებით.

ფაკულტეტზე, დიპლომამდელი განათლების ეტაპზე, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: დაიხვეწა სწავლებისა და შეფასების მეთოდები. სწავლების მეთოდებიდან დიდი ყურადღება ექცევა შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას – სტრუქტურირებული შემთხვევის განხილვას, იშვიათი შემთხვევის განხილვას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას.

საბაზისო კურსის სწავლებისას მნიშვნელოვანი დრო ეთმობა პრობლემის კლინიკური ასპექტების განხილვას, ხოლო კლინიკური სწავლების ეტაპზე სტუდენტი კვლავ უზრუნდება და ახალ ასპექტში განხილვას ფუნდამენტურ საგნებში ნასწავლს საკითხებს.

სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნას, რაშიც სტუდენტებს დიდად უწყობს ხელს თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი. აქ ექიმისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენცია სწავლების პირველი დღეებიდანვე ყალიბდება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აუცილებელ ნაწილად იქცა სამედიცინო უნარ-ჩვევების სწავლება. უნივერსიტეტში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომლის მოვალეობაც ამ უნარ-ჩვევების სწავლება და მონიტორინგია. სწავლების II წლის პროგრამას დაემატა სავალდებულო საგანი – „სამედიცინო კვლევის საფუძვლები“. აღნიშნული საგნის სწავლებით გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის ისეთი კომპეტენციის უზრუნველყოფა, როგორცაა: საკითხის სწორად დაყენება, საძიებო სისტემების გამოყენება, მიღებული ინფორმაციის სწორად შეფასება, სტატისტიკური ანალიზი, მომავალი

კვლევის სწორი დაგეგმვა. ყურადღება ექცევა დაინტერესებული და მოტივირებული სტუდენტების ჩართვას დეპარტამენტებში მიმდინარე სამედიცინო კვლევებში.

ფაკულტეტის სამედიცინო საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნივერსიტეტთან სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის შემოერთებამ. მეცნიერები აქტიურად ჩართულნი არიან სტუდენტთა სწავლების პროცესში, სტუდენტებს კი სამედიცინო პროექტების განხორციელების მეტი შესაძლებლობა მიეცათ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი ორჯერ აღიარა როგორც წლის საუკეთესო სამედიცინო-კვლევითი დაწესებულება მედიცინის დარგში.

მედიცინის ფაკულტეტზე დაინერგა სტუდენტის ცოდნის შეფასების თანამედროვე, ობიექტური მეთოდები. შეფასების პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გამჭვირვალე გახდა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სრულად კომპიუტერიზებული საგამოცდო ცენტრი. დაიხვეწა და დიდი ყურადღება ეთმობა მომავალი ექიმის უნარ-ჩვევების შეფასებას. მთელ რიგ დისციპლინებში მომავალი ექიმების ცოდნა უკვე მათი კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობის მიხედვითაც ფასდება. 2008-2009 სასწავლო წელს ფაკულტეტზე პირველად ჩატარდა კლინიკური გამოცდა პროპედევტიკაში. 2013-2014 სასწავლო წლიდან შეანობა-გინეკოლოგიაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) საშუალებით. ამ ტიპის გამოცდა, სტუდენტის სხვა კლინიკური უნარების შეფასებასთან ერთად, მისი კომუნიკაბელობის, გუნდში მუშაობის უნარის, მიღებული ცოდნის გადაცემის უნარის შეფასებასაც მოიცავს.

სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვაში ფაკულტეტს დიდად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებმა და პროექტებმა, რომლებიც ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად.

ამდენად, ფაკულტეტის მიზანია, მომავალი ექიმების სწავლება ეფუძნებოდეს მეცნიერებას, სწავლების სტრატეგიადა კი არჩეულია სწავლება ინტეგრირებული პროგრამით.

მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში სტუდენტს საშუალება აქვს, გაიაროს სტაჟირება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო სკოლის კლინიკაში.

უკანასკნელ წლებში ფაკულტეტის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების სამედიცინო სკოლების პროფესორები. ისინი კითხულობენ ლექციებს სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, ატარებენ სამედიცინო კონსულტაციებს, ოპერაციებს, თსსუ-ის პროფესორებთან ერთად ახორციელებენ სამედიცინო პროექტებს.

ფაკულტეტს სამომავლოდაც დიდი მიზნები აქვს, რომელთა განხორციელება პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სისხლხორცული საქმეა. იმედია, ერთიანი ძალისხმევით შესაძლებელი გახდება ჯანდაცვის გაუმჯობესება 21-ე საუკუნეში.



დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი — 300

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	65%	2	
ზოგადი უნარები	65%	3	
უცხოური ენა	65%	2	
ბიოლოგია	65%	5	200
ქიმია	65%	5	80
ფიზიკა	65%	5	10
მათემატიკა	65%	5	10

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ატლანტის ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტი



ნარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სწავლის, კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის გარკვეული ეტაპები გაიარონ ემორის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი (MD). სწავლის პერიოდშივე ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სა-

ლიცენზიო გამოცდების (United State Medical Licensing Examination-USMLE) ნარმატებით ჩაბარება დიპლომირებულ მედიკოსს საშუალებას აძლევს დიპლომის შემდეგ მიიღოს საშუალება და სპეციალური პროფესიული მზადება გაიაროს როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ (მათ შორის, აშშ-ში). პროგრამის დაგეგმვასა და მიმდინარეობა-

ში აქტიურად არიან ჩართულნი ემორის უნივერსიტეტის პროფესორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები: ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი, საქართველოში და თბილისის საპატიო მოქალაქე, კენეტ ვოლკერი, სამედიცინო მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორი გორდონ ჩერჩვორდი, ონკოლოგიის პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი, ნეირომეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი, პროფესორი ჰოვარდ კუშნერი და სხვა. ისინი ხშირად სტუმრობენ თსუ-ს, მუშაობენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან.

კენეტ ვოლკერი (ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი): დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მიერ შემუშავებული სრულიად ახლებური სასწავლო სისტემა სტუდენტებს უქმნის სათანადოდ ორგანიზებულ თანამედროვე სამედიცინო განათლებისათვის აუცილებელ სასწავლო გარემოს და ყველა პირობას, პირველივე კურსიდან მოეზადონ, შემდგომ კი ნარმატებით ჩააბარონ აშშ-ის სალიცენზიო გამოცდები და რეზიდენტურის შერჩევის პროცესში მაღალი კონკურენტუნარიანობით გამოირჩეოდნენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდათ აშშ-ის და სხვა საერთაშორისო სალიცენზიო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა, თუმცა, საამისოდ ისინი დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. ახალი პროგრამით კი სალიცენზიო გამოცდებისთვის მზადება და მათი ჩაბარება საკუთრივ პროგრამითაა განსაზღვრული.

თეთრი ხალათების სწავლის სფეროში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყებას უკვე ოთხი წელია თეთრი ხალათების ცერემონიალი ულოცავენ.

2016 წლის 28 სექტემბერს ამერიკული პროგრამის წლის საზეიმო ღონისძიება პროფესორ კენეტ ვოლკერის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. ამერიკის შეერთებული შტატებში, კერძოდ კი ემორის უნივერსიტეტსა (ატლანტა) და ასევე, საქართველოში მოღვაწე ამერიკელ პროფესორ 80 წელი შეუსრულდა. იგი თბილისისა და საქართველოს საპატიო მოქალაქეა. საგანგებოდ „თეთრი ხალათების ცერემონიას“ და თსუ დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სამედიცინო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ამერიკიდან 35-მდე სტუმარი ეწვია.

თეთრი ხალათების 2016 წლის ცერემონია თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე გაიმართა. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტების ყოველწლიური საზეიმო მიღება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ გახსნა.

„თეთრი ხალათების ცერემონიას“ უძღვებოდა ემორის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი არჩილ უნდიაშვილი. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელებს სწავლის დაწყება მიულოცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა ადამ ლამორუსს, ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა.

მოვალეობის შემსრულებელს საქართველოში, მარკ ჰართელს, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამედიცინო კვლევის განყოფილება – საქართველოს დირექტორს, ზოჰერ კაპასს, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის დეპარტამენტის პროფესორს და სხვა საპატიო სტუმრებს.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის საზეიმო ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორები: პროფესორები რიმა ბერიაშვილი, ხათუნა თოდაძე, ირაკლი კობრიძე, პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი გიორგი აბესაძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. საზეიმო ცერემონიას, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, უცხოელი სტუმრები, ოთხივე კურსის სტუდენტები, მათი მშობლები და მეგობრები დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ აშშ-დან დაბრუნებული პროგრამის მეორე კურსის სტუდენტები. ისინი ერთი თვის განმავლობაში ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში იმყოფებოდნენ, სადაც გაეცნენ ამერიკული სამედიცინო განათლებას და დასავლურ სამედიცინო სისტემას.

„თეთრი ხალათების ცერემონიას“ დასკვნით ნაწილში, ტრადიციულად, პირველსემესტრელები თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სიმბოლიკიანი თეთრი ხალათებით შემოსეს პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, ადამ ლამორუსმა, ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა.



ღონისძიების ბოლოს აუდიტორიას შემაჯამებელი სიტყვით მიმართა თსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რა დიდი შრომა უძღვის „დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის“ შექმნას და რა მნიშვნელოვანია ამ პროგრამის არსებობა უნივერსიტეტისა თუ ჩვენი ქვეყნისათვის.

დასასრულს, ემორის უნივერსიტეტის პროფესორმა კენეტ ვოლკერმა და თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ საზეიმო ტორტი გაჭრეს. „დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის“ სტუდენტებთან ერთად სამასობორო ფოტო გადაიღეს.

ზურაბ ვადაჭკორი (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი): „ექიმის მომზადების ამერიკული პროგრამა, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ ემორის უნივერსიტეტთან ერთად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უკვე მეოთხე წელია სტუდენტებს იღებს.

პროგრამის მიზანია სწავლების დასრულების შემდეგ მათ ჩააბარონ საექიმო განათლების მისაღები გამოცდები აშშ-ში“.

არჩილ უნდიაშვილი (ემორის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამედიცინო პროგრამის დირექტორი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი): თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა დასავლური, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო განათლების პრინციპებზეა დაფუძნებული. კურსი, რომელიც ემორის უნივერსიტეტთან პარტნიორობით შეიქმნა და უკვე ოთხი წელია ფუნქციონირებს, სტუდენტებს პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრს სთავაზობს. გაცვლითი პროგრამები, აშშ-ის რეზიდენტურის საკვალიფიკაციო გამოცდების კურსი და კლინიკური პრაქტიკა ემორის უნივერსიტეტში ნარმატებულ სტუდენტებს აძლევს აშშ-ის რეზიდენტურისთვის საჭირო კვალიფიკაციით.

პაპაქალაძე (პროგრამის დირექტორი, პროფესორი): „აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს თსუ-ის ინოვაციურ პროექტს, რომლის ნარმატებით განხორციელებას ემორის სამედიცინო სკოლა უჭერს მხარს – სწავლება ინტეგრაციულ ხასიათს ატარებს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ, კლინიკურ ინტეგრაციასაც პირველივე წლიდან. თსუ-ის ამერიკული პროგრამა იძლევა შანსს, თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით მოხდეს როგორც ევროპული, ასევე ამერიკული სტანდარტის დაკმაყოფილება სამედიცინო განათლების სფეროში.

2016-2017 სასწავლო წელს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლას მეოთხე ნაკადი, 70 სტუდენტი შეუდგა. მათგან 20 საქართველოს მოქალაქეა, აქედან 11 აბიტურიენტი პროგრამის სტუდენტი 100%-იანი სახელმწიფო გრანტით გახდა.



დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა (USMD) მისაღები კონტინგენტი — 20

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	შეასრულები ადგილი საგნის მიხედვით
მართლმადიდებელი ენა და ლიტერატურა	65%	2	
ზოგადი უნარები	65%	3	
უცხოური ენა	75%	2	
ბიოლოგია	65%	5	17
ქიმია	65%	5	3

სტომატოლოგიის ფაკულტეტი

სტომატოლოგიის ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთ-ერთი პოპულარული და წარმატებულია. ფაკულტეტის მიზანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, აღჭურვილი ღრმა თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, რაც საექიმო საქმიანობაში მისი წარმატების საწინდარი იქნება.

ფაკულტეტზე აკადემიური პროცესი მიმდინარეობს ქვეყნის ძირითადი საგანმანათლებლო მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პრინციპების შესაბამისად.

პროგრამის მოცულობა არის 300 ECTS კრედიტი; ხანგრძლივობა – 5 წელი.

2012 წლიდან ფაკულტეტზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მოქმედებს დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა.

სტუდენტების სწავლა-განათლებაზე და სტომატოლოგიის სპეციალისტის დაუფლებაზე ზრუნავს სტომატოლოგიის ფაკულტეტის 32 პროფესორ-მასწავლებელი და 22 მონვეული პედაგოგი. მომავალი თაობების აღზრდას ემსახურება შემდეგი სასწავლო მიმართულება და დეპარტამენტი:

1. ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა

2. სტომატოლოგიური დაავადებათა პროფილაქტიკის მიმართულება;
 3. პაროდონტოლოგიის დეპარტამენტი;
 4. ოდონტოლოგიის დეპარტამენტი;
 5. ორთოდონტიის დეპარტამენტი;
 6. ორთოდონტიის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ორთოპედიის მიმართულება;
 7. პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოლოგიის დეპარტამენტი.
- სტომატოლოგიის ფაკულტეტის ტრადიციებმა და მრავალწლიანმა გამოცდილებამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ მომავალი თაობის სტომატოლოგების აღზრდად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კლინიკურ ბაზებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფაკულტეტზე ყველა პირობა შექმნილი სტუდენტთა საბაზისო მომზადებისა და პრაქტიკული დახვეწის მიზნით. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი კლინიკური ბაზებზე.
- სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების სწავლება მიმდინარეობს მაღალი დონის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებზე:
- ❖ თსსუ-ის გ. ჟვანია სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა;
 - ❖ თსსუ-ის ა.ბ. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა;
 - ❖ თსსუ-ის N1 სტომატოლოგიური კლინიკა;
 - ❖ თსსუ-ის N2 სტომატოლოგიური კლინიკა;
 - ❖ ა.ბ. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკაში არსებობს კლინიკური უნარ-ჩვევების ტენტი, სადაც დანერგულია კურსის სტუდენტებს საშუალება აქვთ ფანტომებზე ათვისონ კონკრეტული კლინიკური მანიპულაცია თუ ჩარევა, ხოლო მაღალკურსელებთან – პრაქტიკული

ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) სტომატოლოგიაში

მედიცინაში სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად მრავალი მეთოდი და ხერხია მოწოდებული. განათლების მსოფლიო ექსპერტთა მიერ შემუშავებული ეს მეთოდები მხოლოდ მაშინ რეალიზდება და ზრუნავს მათთან შედეგს, თუ უმაღლეს სასწავლებლებში მათი აქტიური დანერგვა მოხდება. ამ საქმეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი რგოლების სურვილი და მხარდაჭერა, მასწავლებლების დიდი ძალისხმევა, მათი თვითგანათლება, ადეკვატური სასწავლო გარემო და მოტივირებული სტუდენტები სჭირდება.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა (ისევე, როგორც მედიცინის) სპეციალისტად ჩამოყალიბებამდე სწავლისა და კომპეტენციების შექმნის თანმიმდევრული ეტაპები უნდა გაიარონ: იცოდნენ ის, რაც უნდა აკეთონ, იცოდნენ თუ როგორ უნდა აკეთონ, უჩვენონ როგორ უნდა აკეთონ და აკეთონ თავად. თითოეული ამ ეტაპზე სტუდენტის ცოდნა სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით უნდა შეფასდეს. თუ ცოდნის შექმნის პირველ და მეორე საფეხურებზე (იცის, იცის როგორ) სტუდენტის შეფასება ფაქტების ანალიზით და კლინიკურ კონტექსტზე დაფუძნებული ტესტებითაა შესაძლებელი, მესამე და მეოთხე ეტაპებისთვის მხოლოდ ეს საკმარისი აღარაა. სტუდენტი სწავლების იმ ეტაპზე, როდესაც პროფესორს უკვე უნდა აჩვენოს თუ როგორ ასრულებს ამა თუ იმ სამედიცინო მანიპულაციას, განსხვავებული ხერხით უნდა შეფასდეს. ამის რეალიზება მხოლოდ ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზეა (OSCE – Objective Structured Clinical Examination) შესაძლებელი.

OSCE-ის ჩატარებისას, უპირველეს ყოვლისა, ვაგვარებთ ლოჯისტიკის საკითხებს. აუცილებელია კომფორტული, თანამედროვე საგამოცდო გარემოს შექმნა. ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ობიექტურად სტრუქტურირებული ტერიტორია და სამკურნალო დარბაზები ამის საშუალებას იძლევა.

VI და VII სემესტრებში სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები კლინიკური ოპერაციული ოდონტოლოგიის (VI) და კლინიკური ენდოდონტიის პროპედევტიკის (VII) ეტაპებზე. შესაბამისად, საგამოცდო სივრცე ისე უნდა განაწილდეს, რომ სტუდენტებს კლინიკური უნარების დემონსტრირების მაქსიმალური საშუალება მიეცეთ. ამისთვის ე.წ. საგამოცდო სადგურების მონტაჟი საჭიროა. სადგურები ერთმანეთისგან მაქსიმალურად უნდა გამოიყოს.

თითოეულ სადგურს თავისი ნომერი აქვს, რომელიც სტუდენტისთვის ადვილად შესაძლებელია აღმოაჩინოს. ოდონტოლოგიის დეპარტამენტში OSCE-ის ჩატარებად 11 სადგური გვაქვს მოწყობილი. მათგან VI სემესტრში 9 აქტიურია, 2 კი დასვენების, ხოლო VII სემესტრში 10 აქტიური და 1 – დასვენების. თითოეულ სადგურში სათანადო დაგეგმვის შესასრულებლად სტუდენტს 6 წუთი აქვს გამოყოფილი. სადგურებს შორის ინტერვალი (დრო, როდესაც სტუდენტები სადგურიდან სადგურში გადაადგილდებიან და მომავალი დავალების პირობას ეცნობიან) 1 წუთს შეადგენს. ერთი საგამოცდო ციკლის ხანგრძლივობა 77 წუთია. ერთ ციკლზე მხოლოდ 11 სტუდენტის კომპეტენციების შეფასება შესაძლებელია. საგამოცდო სადგურიდან სადგურში სტუდენტის გადაადგილება ზუსტი სქემით ხდება. წინასწარ არცერთი სტუდენტმა არ იცის თუ რომელი საგამოცდო სადგურიდან დაიწყებს გამოცდას. მთავარია, რომ იგი აუცილებლად მომდევნოში გადაადგილდეს. მაგალითად: თუ პირი გამოცდას იწყებს 1 სადგურიდან, შემდეგი სადგური 2 იქნება, შემდეგი – 3 და ა.შ., გამოცდას კი სტუდენტი 11 სადგურში დაასრულებს. თუ გამოცდა 11 სადგურიდან იწყება, სტუდენტის შემდგომი გადაადგილების სადგური 1 იქნება, შემდეგი – 2, გამოცდა კი 10 სადგურში დასრულდება.



მედიცინაში, სტომატოლოგიისა და საექიმო საქმეში OSCE-ით სტუდენტთა მხოლოდ სპეციფიკური, კლინიკური უნარები ფასდება. კანდიდატებმა უნდა მოახდინონ არა საბაზისო თეორიული ცოდნის, არამედ კლინიკური უნარების დემონსტრირება. თეორიული საკითხების ცოდნის შეფასება OSCE-მდე ხდება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების პროცესის სრულყოფამ, ნოვაციური მეთოდოლოგიების დაბერგვამ, უნივერსიტეტის პროფესორთა აკადემიური განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა, რომლებიც ევროპულ სამედიცინო განათლებასთან დაახლოებას ისახავს, მხოლოდ, ძირითადი შედეგად შეცვალა სტუდენტთა ცოდნის შეფასების კონცეფცია და ხელი შეუწყო OSCE-ს დანერგვას სტომატოლოგიის ფაკულტეტზე.

ოდონტოლოგიის დეპარტამენტში, 2010 წლიდან სტუდენტთა ცოდნის შეფასება ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე ხდება. დეპარტამენტი სტომატოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი სტრუქტურული ერთეულია. აქ სტომატოლოგიის უმთავრესი პრობლემები, კბილთა მკურნალობის კარიესი, არაკარიესული დაავადებები და მათი მართვა, კბილის პულპისა და პერიოდონტიის ენდოდონტიური დაავადებების მკურნალობა და სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა ისწავლება. დეპარტამენტში სწავლება 5 სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობს (III, IV, VI, VII და X) და აქ სტუდენტს პირველად უხდება სტომატოლოგიურ პაციენტთან ურთიერთობა. სწორედ ამიტომ, ოდონტოლოგიის დეპარტამენტში სტუდენტთა ცოდნის შეფასების ეს ხერხი ყველაზე უფრო მისაღები, ეფექტური და ინფორმაციულია.

თითოეულ სადგურს კონკრეტული ქულა აქვს მინიჭებული. სადგურში სტუდენტის შედეგებს შემფასებელი შეფასების სპეციალურ ფურცელში ინიშნავს, რომელიც დეტალურად განერილი შეფასების კრიტერიუმები და მითითებულია ქულაზე.

ზოგიერთ სადგურზე სტუდენტის მიერ შესასრულებელი ამოცანები:

- ❖ საგამოცდო პირობით სტუდენტმა ექიმის სამუშაო ადგილი უნდა მოამზადოს. მოახდინოს იმ ინსტრუმენტთა, აქსესუარების თუ მოწყობილობათა მოძიება, რომელიც აუცილებელია კონკრეტული კბილის, კონკრეტული კლასის კარიესული დეფექტის დამუშავებისა და რესტავრაციისთვის;
- ❖ სტუდენტმა ფანტომ-მულაჟზე (მანეკენზე) უნდა მოახდინოს პირის ღრუს გარემოსგან კონკრეტული კბილის საიზოლაციო სისტემებით გამოყოფა;
- ❖ სტუდენტმა ფანტომ-მულაჟზე (მანეკენზე) უნდა მოახდინოს კონკრეტული კბილის ფეხის არხის სამუშაო სიგრძის განსაზღვრა ელექტრომეტრულად და ტაქტილურად (აპექსოლოკატორისა და ენდოსახაზავის გამოყენებით), უნდა ჩაატაროს ელექტროდონტომეტრული გამოკვლევა;
- ❖ სტუდენტები პაციენტთან კომუნიკაციის უნარებს ავლენენ. მათ სტანდარტულად (მოდელირებულ) პაციენტს უნდა განუმარტონ კონკრეტული პროცედურის ჩატარების საჭიროება, აუხსნან ამ პროცესის ჩატარების თანმიმდევრობა, საშუალებები და შეუქმნან მკურნალობის მოტივაცია. ყურადღების აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ სადგურში „პაციენტი“ წინასწარ უკვე ინსტრუქტირებულია იმის თაობაზე, თუ რა და როგორ უნდა აკეთოს თავის „ექიმს“. მას უკვე აქვს წინასწარ შედგენილი კითხვები, რომლებზედაც გამოსცდებმა პირმა პასუხები უნდა გასცეს;

OSCE ოდონტოლოგიის დეპარტამენტში VI და VII სემესტრების დასრულების შემდეგ ტარდება. III და IV სემესტრებში სტუდენტი წინაკლინიკურ (საფარცხლო) ოპერაციულ ოდონტოლოგიისა და ენდოდონტიის სწავლებას, სადაც ძირითადი დრო ამ საგნების თეორიულ შესწავლას და წინაკლინიკური პრაქტიკული უნარების ათვისებას ეთმობა. VI და VII სემესტრების ბოლოს კი, როდესაც სტუდენტს უკვე აქვს კლინიკაში რეალურ პაციენტებთან ურთიერთობის გამოცდილება, OSCE-ზე მათ კლინიკურ აზროვნებას, პაციენტთან კომუნიკაციას და კლინიკური მანიპულაციების შესრულების უნარებს ვაფასებთ.

❖ ერთ-ერთი სადგური გამოყოფილია იმისთვის, რომ შეფასდეს რამდენად სწორად ანარჩობს სტუდენტი სამედიცინო დოკუმენტაციას და რამდენად ამომწურავად ადგენს იგი სადგურის პირობაში მითითებული სტომატოლოგიური დაავადების (კარიესი, პულპიტი, პერიოდონტიტი) მკურნალობის გეგმას. ზოგიერთ სადგურზე სტუდენტს ხდება ვიზუალური და გარდამავალი ნაოჭის ფოტოსურათი, რომლებზე დაკრძობილია მან უნდა ამოიცნოს დამნაშავე კბილი და დასვას დიაგნოზი;

❖ სტუდენტი მანეკენზე ახდენს კონკრეტული კბილის კარიესის დაბეჭვას კონკრეტული სარესტავრაციო მასალით;

❖ სტუდენტი „დაზგამო“ ჩამაგრებულ წინასწარ პრეპარირებულ კბილზე ატარებს ფეხის არხის ირიგაციის პროტოკოლს;

❖ პერსონალურ კომპიუტერზე ნაჩვენებია კბილის რენტგენოვიზოგრაფიული გამოსახულება, სტუდენტი ადგენს კბილის ნუმერაციას (FDI-სისტემის მიხედვით), საზღვრავს კარიესული დეფექტის კლასს და ლოკალიზაციას, კბილის ფეხსებებსა და არხების რაოდენობას, პერიაპიკალური ქსოვილის მდგომარეობას, არხის დაბეჭვის ხარისხს.

❖ სტუდენტი ვალდებულია აჩვენოს თუ რამდენად ფლობს იგი ადგილობრივი ანესთეზიის ჩატარების ტექნიკას, როგორ ახდენს გამოყენებული საშუალებებისა და ინსტრუმენტების უტილიზაციას.

❖ დასვენების სადგურზე სტუდენტებს შეუძლიათ 6 წუთის განმავლობაში გამოეთმონ საგამოცდო გარემოს, დაისვენონ და გააგრძელონ წარმატებული გზა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ადამიანური რესურსების საკითხი ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდაზე. 11 სადგურს 22 დამკვირვებელი, შემფასებელი და ექიმის ასისტენტი ემსახურება, რომლებსაც წინასწარ სპეციალური ტრენინგი აქვთ გავლელი. მხოლოდ ამ გუნდის ერთობლივი ძალისხმევით მოგვეცა საშუალება დაგვეწერა OSCE სტომატოლოგიის ფაკულტეტზე.

სასიხარულოა, რომ ცოდნის შეფასების ეს მეთოდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გახსოვრილია. იგი არათუ პოსტაბჭოთა სივრცის, არამედ ევროპის ბევრი ქვეყნის უმაღლესი სამედიცინო-საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც კი არ არის დანერგილი. ნორვეგიისა (ოსლო) და დიდი ბრიტანეთის (ლიდსი) უნივერსიტეტებში მიღებულია გამოცდილებამ სტიმული მოგვეცა და გავავიადვილა გამოცდების ახლებულ სტილზე გადასვლა.

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა მისაღები კონტინგენტი — 150

საგამოცდო საგანი	მინიმალური კოეფიციენტი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საგნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	5	130
ქიმია	35%+1	5	10
ფიზიკა	35%+1	5	5
მათემატიკა	35%+1	5	5

ფარმაციაში ფაკულტეტი



ლო საშუალებები და მართოს ტექნოლოგიური პროცესები სათანადო სანარმოო პრაქტიკის წესების დაცვით.

ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია

სამაგისტრო პროგრამის მიზანია თავის, სახის, სხეულის მოვლის, დეფექტების მაკორექტირებელი, პროფილაქტიკური, გამაჯანსაღებელი, სამკურნალო საშუალებების და პარფიუმერული პროდუქციის რეცეპტურის, ტექნოლოგიის გამოყენების წესების ათვისება. ფარმაცევტული კოსმეტოლოგიისა და პარფიუმერიის მაგისტრი შეძლებს დამოუკიდებლად ანარმოს პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქტის, მართოს ტექნოლოგიური პროცესები სათანადო სანარმოო პრაქტიკის წესების დაცვით, გაუწიოს მომხმარებელს პროფესიული დახმარება, კანის ფიზიოლოგიის გათვალისწინებით, პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის შერჩევასა და გამოყენებში.

ფარმაცევტული ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ პროფესიული ცოდნა ფარმაცევტულ ანალიზში. შეძლებენ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელებას, წამლის სტანდარტიზაციის და ხარისხის კონტროლის ორგანიზებას ფარმაცევტულ სანარმოებსა და სახელმწიფოში.

ფარმაციის მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ფარმაცევტული საქმიანობა პაციენტზეა ორიენტირებული. მისი მიზანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით. მისი ძირითადი პროდუქტი წამალია, რომლის შემუშავებას, შესწავლას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, რეალიზაციას და მომხმარებლისთვის კვალიფიციური დახმარების აღმოჩენას ძირითადად ახორციელებს ამ დარგის სპეციალისტი – ფარმაცევტი.

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია: პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება;

სამეცნიერო კვლევაზე და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირების – მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების განხორციელება;

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება;

სხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა.

ფარმაციის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები:

❖ ბაკალავრიატი
სწავლების ვადა – 4 წელი, 240 ECTS კრედიტი

❖ მაგისტრატურა
სწავლების ვადა – 2 წელი, 120 ECTS კრედიტი

❖ დოქტორანტურა
სწავლების ვადა – 3 წელი, 180 ECTS კრედიტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ფარმაციის ფაკულტეტი ახორციელებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. საბაკალავრო განათლება ფარმაციაში ეფუძნება მრავალპროფილიან სწავლებას. მისი მიზანია სტუდენტებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავება. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში დაცულია ბალანსი საბაზისო, სოციალურ, ფარმაცევტულ და სამედიცინო დისციპლინებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებას, ანუ სათანადო ფარმაცევტულ პრაქტიკას. სასწავლო გეგმაში ასახულია ე.წ. თავისუფალი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს პრაქტიკულ კურსებს (ლაბორატორიული მეცადინეობები, სავლე, სანარმოო, სასწავლო პრაქტიკები და ა.შ.).

ფარმაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურიკულუმი შედგენილია მონივრულ

ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინებით:

სწავლების პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას პროფილურ დისციპლინებში და ენიჭება ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მას შეუძლია იმუშაოს პრაქტიკულ ფარმაციაში ან სხვადასხვა დარგის მაგისტრატურაში.

ურთიერთთანამშრომლობის მეორე დონის ფარგლებში ფარმაციის ფაკულტეტის ყველა საფეხურის სტუდენტი გადის სასწავლო და სანარმოო პრაქტიკას ფარმაცევტულ სანარმოებში, აფთიაქებში, წამლის ხარისხის უზრუნველყოფის და სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ლაბორატორიებში. ფაკულტეტზე მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია.

ფარმაციის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან:

- ❖ ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია);
- ❖ კეებეკის შიკუტიმის უნივერსიტეტი (კანადა);
- ❖ მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი (საფრანგეთი);
- ❖ ლუბლიანის უნივერსიტეტი (სლოვენია);
- ❖ ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი);
- ❖ ფათის უნივერსიტეტი (თურქეთი);
- ❖ ხარკოვის ფარმაცევტული უნივერსიტეტი (უკრაინა).

ფაკულტეტზე მოქმედებს ოთხი სამაგისტრო პროგრამა: „სამრეწველო ფარმაცია“, „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“, „ფარმაცევტული ანალიზი“,

„ფარმაციის მენეჯმენტი“. იგეგმება კიდევ ორი სამაგისტრო პროგრამა: „კლინიკური ფარმაცია“ და „ბიოაქტიურ ნაერთთა და მედიკამენტების ქიმია“ – განხორციელება.



სამრეწველო ფარმაცია

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სათანადო სანარმოო პრაქტიკის წესების დაცვით ბუნებრივი და სინთეზური ნედლეულიდან სამკურნალო საშუალებების ტექნოლოგიის შესწავლა და სამრეწველო ფარმაციისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება. სამრეწველო ფარმაციის მაგისტრი შეძლებს დამოუკიდებლად ანარმოს სამკურნალო-

ფარმაციის მენეჯმენტი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტული კადრების მომზადება, რომლებიც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) და საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაციის (FIP) რეკომენდაციების შესაბამისად, შეძლებენ განხორციელონ ეროვნული პოლიტიკა ფარმაცევტულ საქმიანობაში.



ფარმაციის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი — 180

საბამოცდო საბანი	მინიმალური კოეფიციენტი	კოეფიციენტი	ჰაკანტური აღვილი საბნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	5	85
ქიმია	35%+1	5	85
ფიზიკა	35%+1	5	5
მათემატიკა	35%+1	5	5

ჯანდაცვის ეროვნულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, სურსათის უვნებლობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებს, რაც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვით ისეთ ღონისძიებებს გულისხმობს, როგორცაა გადამდები და არაგადამდები დაავადებების კონტროლი და გარემოს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ინტერვენციები, რომლის მთავარი მიზანი არა მხოლოდ პრევენციული და სამკურნალო სერვისებით უზრუნველყოფაა, არამედ ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხის და თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტირება.

ფაკულტეტი ახორციელებს ფართო პროფილის სპეციალისტთა მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების და ქვეყნის პრიორიტეტის გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოქმედებს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. ფაკულტეტის დეპარტამენტები ჩართული არიან სპეციალისტთა გადამზადების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკრედიტებულია ორი საბაკალავრო პროგრამა: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“. საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თსსუ-ის დეკლარირებული მისიისა და ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად, მომზადდეს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის სფეროში მუშაობის, შემდგომი პროფესიული ზრდისა და აკადემიური განათლების გაგრძელების შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის ნარმატებით დასრულება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას, კომპეტენციის ფარგლებში მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მზაობას დიპლომის შემდგომი განათ-

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი



ლებს გაგრძელებისათვის. პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია.

„საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტი“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება პარიზის მენეჯმენტისა და ალსრულეების აკადემიასთან (UniMan) თანამშრომლობით. პროგრამა, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის, მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგისა და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების საკითხებთან ერთად, აქცენტრებულია შემდეგ საკითხებზე:

ჯანდაცვის მენეჯმენტი, სამედიცინო მომსახურების მონიტორინგი და ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება;

ადმინისტრაციული, მენეჯერული, კომერციული საქმიანობის ორგანიზება და შეფასება;

მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზება და მართვა;

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში სამედიცინო დანესტრუქტურის მუშაობის დაგეგმვა და მონიტორინგი;

მართვის თანამედროვე პრინციპები ჰოსპიტალურ სექტორში.

ჯანდაცვის მართვის საკითხებთან დაკავშირებული დისციპლინებისა და ფრანგული ენის სასწავლო კურსის სწავლებაში მონაწილეობენ საფრანგეთის მენეჯმენტისა და ალსრულეების აკადემია UniMan-ის პროფესორები. სწავლების ენა ქართულია. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფრანგული ენის ინტენსიური სწავლება. პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა ორი დიპლომი, აღიარებული როგორც საქართველოს, ასევე, საფრანგეთის მიერ. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნის რეალიზების შესაძლებლობა საქართველოსა და საფრანგეთში, რაც იძლევა მიღებული ცოდნის გამოყენებისა და დასაქმების, ასევე ევროპული განათლების შესაძლებლობას უცხოეთშიც. პროგრამის მოცულობაა 280 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც აძლევს უფლებას განათლება განაგრძოს უნივერსიტეტში მოქმედ პროფილურ სამაგისტრო პროგრამებზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა; ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა; ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება; ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი;

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და UniMan-ის (საფრანგეთი) ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა ქართულ და ინგლისურ ენებზე).

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი შესაბამის მიმართულებაში.

მაგისტრს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში; მისი ნარმატებით დასრულების და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვების შემდეგ, პროფილური პრაქტიკული საქმიანობის გარდა, შესაძლებელია ჩართვა აკადემიურ და კვლევით აქტივობაში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის კვებისა და ასაკობრივი მედიცინის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის, გარემოს მედიცინის, პროფესიული მედიცინის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით. მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგები აისახა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა დევიზით - „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“.

ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათ მიერაა ორგანიზებული უკვე ტრადიციად ქცეული სტუდენტური კონფერენცია, რომელიც 2010 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ბაკურიანში. სტუდენტების აქტიური მონაწილეობით უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნება „ეპიდემიის ევროპის დღე“, „დიაბეტის მსოფლიო დღე“, „ჯანმრთელობის მსოფლიო დღე“, „ტუბერკულოზის მსოფლიო დღე“, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მსოფლიო დღე“, „შიდსის მსოფლიო დღე“ და სხვა.

ფაკულტეტს აქვს საერთაშორისო კონტაქტები საფრანგეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ისრაელის, უნგრეთის, ამერიკის, ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლებთან. ხორციელდება სტუდენტებისა და პედაგოგების სტაჟირება ევროპის, ამერიკისა და კანადის უნივერსიტეტებში.



საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის ბაკალავრი (ორმაგი ქართულ-ფრანგული დიპლომით)

მისაღები კონტინგენტი — 110

მისაღები კონტინგენტი — 40

საგამოცდო საბანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ვაკანტური ადგილი საბნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	2	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	2	
ბიოლოგია	35%+1	5	70/20
ქიმია	35%+1	5	30/14
ფიზიკა	35%+1	5	5/3
მათემატიკა	35%+1	5	5/3

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი



თანამედროვე მედიცინის წარმატება შეუძლებელია სრულყოფილი სამედიცინო რეაბილიტაციის სამსახურის გარეშე, ვინაიდან კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდება ითვალისწინებს არა მხოლოდ დაავადების მკურნალობას, არამედ პაციენტის ფუნქციური მდგომარეობის ოპტიმალურ ფარგლებში აღდგენას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ფიზიკური რეაბილიტაციის მთავარი ამოცანაა.

რეაბილიტაცია არის უწყვეტი და კოორდინირებული პროცესი, რომელიც იწყება დაავადების ან დაზიანების დაწყებისთანავე და გრძელდება პაციენტის საზოგადოებაში სრულ რეინტეგრაციამდე.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დღითიდღე იზრდება ინტერესი თანამედროვე სამედიცინო სარეაბილიტაციო მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ, შესაბამისად გაზრდილია მოთხოვნილება თანამედროვე ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილ სპეციალისტებზე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მთავარი ამოცანაა მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ქრონიკული დაავადებების, ტრავმის ან სხვა კლინიკური პრობლემის შედეგად განვითარებული უნარშეზღუდულობის მქონე ადამიანების სამედიცინო დახმარებას.

ფაკულტეტზე მოქმედებს ევროპული სტანდარტების, თანამედროვე საბაკალავრო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა ოთხი წელია. სტუდენტები მომავალ პროფესიას ეუფლებიან უნივერსიტეტის სხვადასხვა თეორიულ თუ კლინიკურ დეპარტამენტებში, საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებსა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. ისინი სწავლობენ რეაბილიტაციის პრინციპებს და პროგრამებს, რეაბილიტაციის სისტემის ორგანიზაციას და პრაქტიკას, თანამედროვე სარეაბილიტაციო მეთოდებს და ტექნოლოგიებს, მათ გამოყენებას საყრდენ-მამოძრავებელი, გულ-სისხლძარღვთა, ნერვული,

რესპირატორული და სხვა სისტემების დაზიანებებისა და დაავადებების დროს.

პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში და ეძლევა პროფესიული საქმიანობის საშუალება. ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციის ბაკალავრის მოქმედების არეალი ფართოა და ვრცელდება სხვადასხვა სამედიცინო დანესებულებასა და მიმართულებაზე. ეს შეიძლება იყოს ინტენსიური თერაპიის ბლოკი, საავადმყოფოს რეაბილიტაციის განყოფილება, ცალკეული რეაბილიტაციის ცენტრი, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სამსახური.

დიპლომის შემდგომი განათლების ორწლიანი ეტაპი ემსახურება მაგისტრის ხარისხის

მქონე სპეციალისტთა მომზადებას რეაბილიტაციის კონკრეტულ მიმართულებებში, რაც გულისხმობს გაფართოებულ კლინიკურ კომპეტენციებს და სამეცნიერო კვლევის განხორციელებას უნარ-ჩვევების შექმნას. ფაკულტეტზე მოქმედებს სამი სამაგისტრო პროგრამა: „რეაბილიტაციის მრჩეველი“ და „რეაბილიტაცია სპორტში“ და, ამასთანავე, იგეგმება ახალი, მეტად აქტუალური პროფილის სამაგისტრო პროგრამების შემუშავება.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრს შეუძლია აირჩიოს აკადემიური კარიერა. განათლების მესამე, დოქტორანტურის სამწლიანი ეტაპი კვლევაზეა ორიენტირებული და სრულდება სადოქტორო ხარისხის დაცვით ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში. მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის ფლობის

შემთხვევაში სპეციალისტს ეძლევა დარგის მარეგულირებელ და საგანმანათლებლო სტრუქტურებში მუშაობის უფლება.

ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებულად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებსა და პროფესიულ ტრენინგებში, მათ შორის, მეტად აქტუალურია ნეირორეაბილიტაციისა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიების ფიზიკური რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ამპუტაციის შემდგომი რეაბილიტაციისა და მაღალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებების თანამედროვე პროგრამები.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენტურობით და მრავალად არიან დასაქმებული საქართველოს ნამყვანი კლინიკების სამედიცინო რეაბილიტაციის განყოფილებებსა და კერძო სარეაბილიტაციო ცენტრებში, მოღვაწეობენ სპორტული კლუბებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის ნაკრები გუნდების სამედიცინო სამსახურებში. კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს დასაქმების 80%-იანი მაჩვენებელი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტს გააჩნია მჭიდრო კავშირი აშშ-ის სკრენტონის უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტთან. ჩვენს ფაკულტეტზე სისტემატურ ხასიათს ატარებს ამერიკელი პროფესორების ვიზიტები და ლექცია-სემინარები, ისევე როგორც ერთობლივი ტელევიდეო და კონფერენციები. ამასთანავე, ამერიკელი პროფესორები არიან მონვეული და აქტიურად ჩართულნი უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის აკადემიურ პროცესში.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სტუდენტები, უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასთან და სტუდენტურ სამეცნიერო საზოგადოებასთან ერთად რეგულარულად აწეობენ მრავალფეროვან სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებს.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი — 80

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ჰაიპერპერი ადგილი საბნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა	35%+1	3	
ზოგადი უნარები	35%+1	3	
უცხოური ენა	35%+1	3	
ბიოლოგია	35%+1	3	64
ქიმია	35%+1	3	12
ფიზიკა	35%+1	3	2
მათემატიკა	35%+1	3	2

საექთნო/საბებიო საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა და ტენდენციებმა რადიკალურად შეცვალა ექთნის როლის, კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ტრადიციული ხედვა. საექთნო განათლების წინაშე სრულიად განსხვავებული მოთხოვნები დადგა. სამედიცინო პრობლემების მზარდი კომპლექსურობის პირობებში წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი გახდა მომავალი ექთნის აღჭურვა ცოდნის იმ მოცულობით, რომელიც ცდებდა საქართველოში არსებულ საექთნო განათლების ტრადიციულ საზღვრებს.

სწორედ ამ გამოწვევის პასუხად, 2007 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა საექთნო განათლების დეპარტამენტი (დღეს – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები), რომელიც, საქართველოში პირველად, შეუდგა ზოგადი პროფესიის მედიკის უმაღლესი დიპლომამდელი განათლების უნიკალური სამწლიანი (180 ECTS კრედიტი) პროგრამის განხორციელებას; პროგრამას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საექთნო და საბებიო განათლების ევროპული სტრატეგია.

2011-2012 სასწავლო წლიდან პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების კვალდაკვალ ამოქმედდა საექთნო საქმის (ექთანი, ბეზიაქალი) საბაკალავრო პროგრამები, რომელთა მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს, ხოლო ხანგრძლივობა 4 აკადემიურ წელს. საბებიო პროგრამა შემუშავებულია



ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ (პროგრამა MATRA) ინიცირებული პროექტის „საქართველოში ბეზიაქალითა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება“ – ფარგლებში. პროექტის განხორციელებაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ETC Foundation-მა (ნიდერლანდები), HERA-XXI-მა (საქართველო), ბეზიაქალითა საერთაშორისო კონფედერაციამ (ICM, Hague) და როტერდამის ბეზიაქალითა უნივერსიტეტმა – Rotterdam University of Midwives (RUM/VAR).

ამჟამად საბაკალავრო პროგრამების გარდა ხორციელდება მე-5 საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საექთნო (საბებიო) საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მაღალ კომპეტენციასა და კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რეგულაციის დასაქმების ძალიან მაღალი მაჩვენებელი.

2015-2016 სასწავლო წლიდან T.G დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრსა (ინსბრუკი, ავსტრია) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება მიღება საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე.

საექთნო საქმის ბაკალავრის პროგრამები: საექთნო საქმის ბაკალავრი - ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი — 30

საექთნო საქმის ბაკალავრი □ ბეზიაქალის საგანმანათლებლო პროგრამა

მისაღები კონტინგენტი — 10

საგამოცდო საგანი	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	კოეფიციენტი	ჰაიპერპერი ადგილი საბნის მიხედვით
ქართული ენა და ლიტერატურა		3	
ზოგადი უნარები		3	
უცხოური ენა		3	
ბიოლოგია	25%+1	3	25/7
ქიმია		3	3/1
ფიზიკა		3	1/1
მათემატიკა		3	1/1

საქართველო მუშაობის კოორდინაციის, მანქანების, მანქანების და დოქტორანტების სამსახური



სამედიცინო მუშაობის კოორდინაციის, მანქანების, მანქანების და დოქტორანტების სამსახური პასუხისმგებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული სამედიცინო მუშაობის კოორდინაციაზე, მანქანების და დოქტორანტების საქმიანობაზე. სამსახური, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლასა და სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან.

სამსახურის საქმიანობა მოიცავს სამაგისტრო და სადოქტორო კვლევის პროგრამების დამტკიცების პროცესს, დოქტორანტურასა და მანქანების კონკურსის გამოცხადების, მისაღები გამოცდების ჩატარებისა და დოქტორანტთა თუ მანქანანტთა ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებას, პერმანენტულ კონტროლს აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე, სამაგისტრო ნაშრომების დაცვისა და დოქტორანტების მიერ სასწავლო კომპონენტის დაცვის ორგანიზებას, სადოქტორო დისერტაციების დაცვისთვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას სადისერტაციო საბჭოებში წარსადგენად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის

შესაბამისად, უცხოეთში დაცული სადისერტაციო ნაშრომების შეფასებას კვლევის შედეგების სამედიცინო, აკადემიური, პრაქტიკული და მეთოდური ღირებულების თვალსაზრისით.

სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას თსსუ-ში განხორციელებული სამედიცინო კვლევების, სხვადასხვა მიმართულების თუ დეპარტამენტის მიერ მიღებული გრანტების და სხვა სამედიცინო აქტივობების შესახებ, რომლის სისტემატიზების შემდეგ ამზადებს უნივერსიტეტის სამედიცინო საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებს. ამ ანგარიშების წარდგენა და მოხსენება ხდება როგორც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, ასევე, სხვადასხვა სამედიცინო ფორუმზე. მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაცია თსსუ-ის სამედიცინო მუშაობის შესახებ ეგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებებს.

2016 წელს თსსუ-ში განხორციელდა 92 სადოქტორო კვლევის პროგრამა და დისერტაცია დაიცვა ცხრაამეტიმა დოქტორანტმა, რომლებსაც ჯანდაცვის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ.

თსსუ-ში მოქმედებს 12 სამაგისტრო პროგრამა. მათგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე - საზო-

გადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი, ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი); ფარმაციის ფაკულტეტზე - ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია, ფარმაცევტული ანალიზი, ფარმაციის მენეჯმენტი, სამრეწველო ფარმაცია; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე - პედაგოგიური რეაბილიტაცია, რეაბილიტაციაში მრჩეველი, რეაბილიტაცია სპორტში.

დიპლომის შემდგომი საქმიანობის განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი



დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის მიზანი დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების, უწყვეტი პროფესიული განვითარების და პროფესიული მზადების უზრუნველყოფაა. ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ინსტიტუტში არსებული რეზიდენტურის, უწყვეტი პროფესიული განვითარების და საორგანიზაციო სამსახურები უზრუნველყოფენ. რეზიდენტურის სამსახური უზრუნველყოფს დიპლომის შემდგომ მზადებას:

- რეზიდენტურა - სახელმწიფო და კვეთის საფუძველზე.
- რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების ფორმა;
- პროფესიული მზადება ხორციელდება განათლების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უნივერსიტეტული აკრედიტებული სარეზიდენტო პროგრამებით საუნივერსიტეტო და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში 54 (ორმოცდაათოთხმეტი) სპეციალობით. რეზიდენტურის სამსახური დროის მოთხოვნათა შესაბამისად მუდმივად უზრუნველყოფს დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების სისტემის განვითარებასა და გაუმჯობესებას.

უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის მიზანი ექიმების, ბუბიაქალების, ექთნების და ექთანთა თანამშრომლების პროფესიული მზადების უზრუნველყოფაა. მედიცინის და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების სწრაფი განვითარების გამო სამედიცინო პერსონალი პერმანენტულად საჭიროებს მიღებული სამედიცინო განათლების გაღრმავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწას. სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებს მუშაობას უწყვე-

ტი პროფესიული განვითარების სამსახური, ახორციელებს რა შემდეგი ტიპის პროგრამებს საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში:

- უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი ტრენინგები;
- პროფესიული რეაბილიტაცია;
- კვალიფიკაციის გრძელვადიანი პროგრამა;
- პროფესიული რეაბილიტაცია კლინიკური მოდულით;
- კლინიკური სტაჟირების კურსი;
- გადამზადების პროგრამა;
- სუბსპეციალობის პროგრამა;
- რეზიდენტურის პროგრამის შემოკლებული კურსი;
- სპეციალიზაციის პროგრამა.

ინსტიტუტის მიღწევა დიპლომის შემდგომი სწავლების წარმოება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, საჩხერეში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდში, მარნეულში, ხონსა და გორში (თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტალი). მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სწავლების არეალის გაფართოებაზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტს ურთიერთობა აქვს უცხოეთის ნამყვან სპეციალისტებსა და კლინიკებთან. მოქმედებს გაცვლითი პროგრამები რეზიდენტებისა და ექიმებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც თსსუ-ის წარგზავნილები წარმატებით ეუფლებიან თანამედროვე მედიცინის მიღწევებს და შესაბამისი ცოდნით ალტერნატიული ბრუნდებიან სამშობლოში.

ინსტიტუტის დიდ გამარჯვებად შეიძლება მივიჩნიოთ ევროპის სამედიცინო

სპეციალობათა ასოციაციის მიერ „ზოგადი ქირურგიის“ პროგრამის, ხოლო ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების მიერ „ექო-კარდიოგრაფიის“ პროგრამის აღიარება, რაც ჩვენს კურსდამთავრებულებს გზას უხსნის ევროკავშირში დასაქმებისკენ.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UN-FPA), აღმოსავლეთ ევროპის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინსტიტუტის მხარდაჭერით მომზადდა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა „ვირტუალური კონსულტირება კონტრაცეპციაში“, რომელიც დაეხმარება ქართველ ექიმებს და რეზიდენტებს დაეუფლონ ამ სფეროში არსებულ თანამედროვე მიდგომებს. გარდა ამისა, ექიმებს საშუალება აქვთ მიიღონ უწყვეტი პროფესიული განვითარების ევროპული კრედიტები.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UN-FPA) მხარდაჭერით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა პირველი ტრენინგი დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების სფეროში, რეზიდენტურაში პროფესიული მზადების პროცესში ახალი ტექნოლოგიების - „პორტფოლიოს“ დანერგვისა და გამოყენების თაობაზე.

2016 წლის ნოემბრისათვის დასრულდა „პორტფოლიოს“ პლატფორმის - ტექნიკურ მხარეზე მუშაობა, მომზადდა პორტფოლიოს პლატფორმა შესაბამისი ფორმატითა და ლინკით. მოხდა ელექტრონული ფორმატის ტესტირება და მზად არის პილოტირებისათვის საექიმო სპეციალობის „მეანობა-გინეკოლოგია“ პირველი წლის რეზიდენტებისთვის.

„რადიაციულ დაცვაში“ მედიცინისა და ჯანდაცვის პროფესიონალთათვის ახალი ევროპული და საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემოღებასთან დაკავშირებით, სსიპ ივ. ბერტაშვილის ექსპერი-

მენტული ბიომედიცინის ცენტრთან ერთად მომზადდა პროგრამები - „რადიაციული დაცვა სამედიცინო რადიოლოგიაში“ ექიმებისა და ექთნებისათვის. პროგრამა განხილული და მოწონებული იქნა რადიაციული დაცვის სფეროში საერთაშორისო ექსპერტების მიერ, რეკომენდებულია საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის მიერ.

მომზადდა პროგრამა „რაციონალური ანტიმიკრობული თერაპია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში“, რომლის მიზანია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული ექიმებისთვის ანტიმიკრობული თერაპიის თანამედროვე მიდგომების გაცნობა. 2016 წელს ჩატარებული ანტიბიოტიკების შესახებ ინფორმირებულობის მსოფლიო კვირეულის ფარგლებში ამ პროგრამით მომზადდა ექიმები.

ინსტიტუტი სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრთან ერთად მონაწილეობს პროგრამაში, რომლის მიზანია საქართველოში მომუშავე ექიმებისთვის ბრიტანული სამედიცინო ჟურნალის (British Medical Journal) ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა.

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის იურიდიულ, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, ადამიანური რესურსების მართვის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციას ახორციელებს საორგანიზაციო ჯგუფი.

ჯანდაცვის სფეროში არსებული თანამედროვე მოთხოვნებიდან და საკითხთა აქტუალობიდან გამომდინარე, ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულებით.



კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური

კლინიკებთან ურთიერთობის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა სტუდენტთა და რეზიდენტთა თანამედროვე სტანდარტებით პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობაა. ამ მიზნით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კლინიკებს შორის ფორმდება ხელშეკრულება და მემორანდუმი, რაც უზრუნველყოფს აკადემიური უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას, რომლის მიზანია მხარეთა ერთობლივი საქმიანობით შექმნას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე, კვალიფიციური ექიმებითა და პედაგოგებით დაკომპლექტებული, სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულების კლინიკური ბაზა, სადაც ხორციელდება კლინიკური დისციპლინების დიპლომანდელი, დიპლომის შემდგომი სწავლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება, სამედიცინო კვლევები, ექიმებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება და ყველა სხვა ამოცანა, რაც გათვალისწინებულია საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს სამედიცინო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, რომელთა უმრავლესობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურს-

დამთავრებულია და დღემდე მის ერთგულად რჩება.

კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური განაგრძობს ხელშეკრულებების და მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა სამედიცინო დანესებულებასთან.

2009-2016 წლებში ხელშეკრულება და მემორანდუმი გაფორმდა 192 სამედიცინო და კვლევით დანესებულებასთან, რომელთა შორის არის:

- 6 კვლევითი ინსტიტუტი,
- 56 ცენტრი,
- 26 სტომატოლოგიური კლინიკა.

● 29 კლინიკას აკადემიურმა საბჭომ მიანიჭა აფილირებული კლინიკის სტატუსი.

კლინიკებთან გაფორმებული ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს მათ ბაზაზე განათავსოს კლინიკური დეპარტამენტები და მიმართულებები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სამსახურის ერთ-ერთი მიმართულება აკადემიური პერსონალის კლინიკური საქმიანობის ხარისხის ამაღლება და დეპარტამენტების მიერ პროცესის თანამედროვე დონეზე განხორციელების ხელშეწყობაცაა, რომლის გარეშეც ვერ მომზადდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო კადრი.

სტაჟირება სტუდენტებისთვის

2013 წლიდან, პირველად უკანასკნელი 20 წლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციულად ხორციელდება სტუდენტთა ზაფხულის და ზამთრის სკოლა-სტაჟირების ნებაყოფილობით პროექტები. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურმა გამოიკვლია სტუდენტთა მოსაზრებები და მათი მოლოდინი პრაქტიკული სტაჟირების თვალსაზრისით და ეს ყოველივე საფუძვლად დაედო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად ყველა რეგიონის სამედიცინო დანესებულებებთან გაფორმებულ მემორანდუმებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებთან (თსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, ა.პ. ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა, N1 სტომატოლოგიური კლინიკა) ერთად, 2016 წელს ზაფხულში პროექტში მონაწილეობდნენ აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკა, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა, მ. წინამძღვრიშვილის სახელობის ქართულ-გერმანული კლინიკა, დავით მეტრეველის სამედიცინო ცენტრი, „დავით გაგუას კლინიკა“, „იმედის კლინიკა“, კლინიკა „უნიდენტი“, სადაზღვევო კომპანიები, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და სურსათის ეროვნული სააგენტო.

2016 წლის ზამთრის სკოლა-სტაჟირებაში მონაწილეობას იღებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 600-ზე მეტი VII-XII სემესტრის სტუდენტი.

ზაფხულის და ზამთრის სკოლა-სტაჟირების ძირითადი მიზანია: სტუდენტების მიერ თეორიული და პრაქტიკული დისციპლინების შესწავლისას მიღებული ცოდნის გამყარება, სწავლის პროცესში შექმნილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება და სრულყოფა, კლინიკაში სამკურნალო პროცესის, ექიმის მუშაობის პირობების, ჯანდაცვის ორგანიზების და ეხილსანიანადმდეგო მუშაობის პირობების გაცნობა, სხვადასხვა დაავადების პრევენციის უნარ-ჩვევების გამყარება.

2016 წლის ზამთრის სკოლა-სტაჟირების დროს, კლინიკებში მუშაობისას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 700-ზე მეტმა სტუდენტმა გაიღრმავა კლინიკური დისციპლინების შესწავლით მიღებული სადიაგნოსტიკო უნარ-ჩვევები, გაეცნო ავადმყოფის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდებს, პრაქტიკულად დააკვირდნენ კლინიკური აზროვნებისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპების რეალიზებას, ჯანდაცვის მენეჯმენტის ძირითად პრინციპებს, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას.

სტუდენტებსა და პრესამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის ამოცანაა ახალგაზრდა სპეციალისტთა საკარიერო სერვისის განვითარება, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობა; სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორთან, ხელს უწყობს თსუ-ის სტუდენტების, მათი საინიციატივო ჯგუფების, სტუდენტური ორგანიზაციების აქტიურობას და მუშაობს მათთან კოორდინირებულად.

სამსახურის ფუნქციები:

სტუდენტების, რეზიდენტების, მაგისტრანტების და დოქტორანტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო და ადგილობრივი სტაჟირების პროგრამების, კონფერენციების, ლექცია-სემინარების, ტრენინგების ორგანიზება და ამ მიზნით დამატებითი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოძიება, სტუდენტებისთვის საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების განვითარება, პროფესიული და დამსაქმებელთა ასოციაციებთან ურთიერთობა, სტუდენტური სერვისების განვითარება

და სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა,

უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების და უცხოელი სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა,

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ურთიერთობა შესაბამის სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და უშუალოდ საგანმანათლებლო დანესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მიზნით.

სამსახურის მიერ 2016 წელს განხორციელებული აქტივობანი:

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, ბილატერალური საზაფხულო სტაჟირების პროგრამა პოზნანის სამედიცინო უნივერსიტეტში, ბილატერალური საზაფხულო სტაჟირების პროგრამა გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტში, ბილატერალური საზაფხულო სტაჟირების პროგრამა ერენის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები,

ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის საგაზაფხულო ასამბლეა, მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების მსოფლიო ფედერაცია (ოპრიდი, მაკედონია), ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის სამშობლო ასამბლეა (ვარშავა, პოლონეთი), ISCOM (ნაიმეგენი, ჰოლანდია), თსუ-ის სტუდენტთა პროფესიული განვითარების პროგრამა.

ზაფხულის სკოლა-სტაჟირების პროგრამა თსუ-ის მედიცინის, სტომატოლოგიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ზამთრის სკოლა-სტაჟირების პროგრამა თსუ-ის მედიცინის, სტომატოლოგიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ქ. თბილისის მერიის სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა.

სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმება სხვადასხვა კომპანიაში შემდეგ პოზიციებზე:

ოჯახის ექიმის ასისტენტი, CC ოპერატორი, ზარღების ანაზღაურების ოფიცერი, მომხმარებელთა მომსახურების კონსულტანტი, უმცროსი ექიმი,

„Euopean work“ დასაქმება გერმანიაში.

სტუდენტური ღონისძიებები:

სამეცნიერო კონფერენციები (სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად), სპორტული ღონისძიებები (სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად), სოციალური პროგრამები (სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად), კულტურული ღონისძიებები (სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად).

სხვადასხვა აქტივობა:

დასაქმების ფორუმი – 2015; სუამის ახალგაზრდული ფორუმი, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისიის შეხვედრები, შეხვედრები სტუდენტებთან. სტუდენტური დღეები – 2016: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური მომავალშიც გეგმავს აქტიურად განახორციელოს პროგრამები თსუ-ის სტუდენტებისათვის დასაქმების, პროფესიული განვითარების და არაფორმალური განათლების კუთხით.

ინფრასტრუქტურული პროექტები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კლინიკური აქტივობა და სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს სამ სასწავლო კორპუსში და ნაწილობრივ – ადმინისტრაციულ კორპუსში, ასევე – პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, სამ სტომატოლოგიურ კლინიკასა და ორ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

მნიშვნელოვანია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველა ამ სიკეთის მესაკუთრეა. გზა, რომელიც მან გაიარა დღევანდელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამდე, არ იყო მარტივი.

2017 წლიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეემატება მეოთხე სასწავლო კორპუსი – ყოფილია ვივარიუმის

შენობამ სულ სხვა იერ-სახე მიიღო; ამიერიდან, 4200 კვადრატულ მეტრ ფართზე განლაგებულ 80-მდე აუდიტორიაში, რომელიც აღიჭურვა უახლესი აპარატურით, წარმართება სასწავლო პროცესი. აქ განლაგდება ფარმაცევტული ფაკულტეტის პროფილური დეპარტამენტები: ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის, სოციალური და კლინიკური ფარმაციის, ფარმაცევტული ტექნოლოგიის, ფარმაცოგნოზის და ბოტანიკის. ასევე, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტი, აგრეთვე, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტი ლაბორატორიით.

2017 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში კიდევ უფრო მეტი სამუშაოების შესრულება



ბა დაგეგმილი: გამაგრდება მეორე სასწავლო კორპუსი, მიმდინარეობს საექსპლუატაციო დარბაზის რეაბილიტაცია, ასევე, აიგება მრავალფუნქციური შენობა; მესამე სასწავლო კორპუსი ლიფტით აღიჭურვება; პირველი სასწავლო კორპუსის ვესტიბიულზე დაშენდება ნაგებობა სასადილოსთვის და ვესტიბიულის ქვემოთ მდებარე სივრცეში რეკრიაციული ზონა და მრავალფუნქციური დარბაზი მოეწყობა; პირ-

ველი საუნივერსიტეტო კლინიკის ტერიტორიაზე აშენდება სარეაბილიტაციო ცენტრი. უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის პროექტის განხორციელება, რომელიც კიდევ უფრო კომფორტულს გახდის უცხოელ სტუდენტთათვის თსუ-ში სწავლის და საქართველოში ცხოვრების.

თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, აკადემიური და ტექნიკური პერსონალის ძალისხმევით, 2015 წლის 25 მარტს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მალაქტეწოლოგიური და მრავალპროფილიანი პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომლის მთავარ პრიორიტეტად განისაზღვრა სტუდენტთა განათლების დონის ამაღლება, მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და კლინიკური გამოცდილების გაზიარება. დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელება კი სათანადო მაღალი სტანდარტის სამედიცინო და საგანმანათლებლო ბაზის გარეშე წარმოუდგენელია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა სამედიცინო ნოვაციების დანერგვის ადგილია. აქ მზადებას გადის 6 000-ზე მეტი ქართველი, 2 000-მდე უცხოელი სტუდენტი და ასობით რეზიდენტი. კლინიკა სრულად არის ადაპტირებული სასწავლო მიზნებისთვის. განთავსებულია 20-მდე კლინიკური დეპარტამენტი/მიმართულება (კათედრა).

თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა ორიენტირებულია საერთაშორისოდ აღიარებული მტკიცებითი მედიცინის სტანდარტებით მომსახურებაზე. ეს არის 145 საწოლზე გაშლილი თანამედროვე, მაღალი სტანდარტის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტაციონარი, სადაც მოღვაწეობენ საქართველოში აღიარებული პროფესორები, მედიცინის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც მომავალი სამედიცინო კადრის აღზრდის პარალელურად, მაღალკვალიფიციურ საექიმო მომსახურებას უწევენ საქართველოს მოსახლეობას. კლინიკა სამედიცინო უნივერსიტეტის ათეულამდე სასწავლო დეპარტამენტის კლინიკური ბაზაა; ეს კი ნიშნავს, რომ აქ მაღალხარისხიანი დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების მიღების პარალელურად, სტუდენტები და რეზიდენტები ორგანულად არიან ჩართულნი სამედიცინო საქმიანობაში.

კლინიკაში ყველა პირობაა თანამედროვე კლინიკური და აკადემიური საქმიანობის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური, ეპიდემიოლოგიური ინტერდისციპლინური კვლევების შესრუ-



ლებისთვის, რაც საუნივერსიტეტო განათლების ორგანული კომპონენტია.

მნიშვნელოვანია, რომ რეზიდენტებს, ექიმებს სასწავლო აუდიტორიებსა და კლინიკის პერსონალური კომპიუტერების საშუალებით შეუძლიათ იხილონ ოპერაციის მსვლელობა, ბევრად უკეთესად და უფრო კომფორტულად, ვიდრე ოპერაციის დარბაზის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ კლინიკაში, მაღალკვალიფიციურ ექიმებთან ერთად, პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვას არ იშურებენ რეზიდენტები და სტუდენტები, რომლებიც დასაქმებულნი არიან კლინიკაში. ისინი თერაპიულ ცოდნასთან ერთად, იმტკიცებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და კლინიკურ გამოცდილებას იღებენ: მონაწილეობენ პაციენტის გასინჯვასა და დიაგნოსტიკაში, ესწრებიან კონსილიუმებს, მონაწილეობენ კლინიკურ და სამეცნიერო კონფერენციებში. თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკას გააჩნია სალექციო/საკონფერენციო აუდიტორია, რომელიც სემინარებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების მიზნით, სშირად მასპინძლობს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ პროფესორებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი ექიმების ცოდნის და უნარ-ჩვევების გასამყარებლად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკაში სწავლის პროცესიც და პაციენტის მკურნალობაც მთლიანად დაფუძნებულია მტკიცებითი მედიცინის მონაცემებზე და სრულად შეესაბამება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს.



თსუ-ის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა



ურის მუნიციპალიტეტების სოფლების (კვირიკეს, ხუცუბნის, აგარასა და ახალსოფლის) საჯარო სკოლების 375 მოსწავლეს.

კლინიკა მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ექიმ-სპეციალისტებთან, რომლებიც პერიოდულად სტუმრობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, პაციენტებს უტარებენ კონსულტაციებსა და ქირურგიულ ოპერაციებს. 2016 წლის 16-20 მაისს, კლინიკას ეწვია გერმანიის ქალაქ დუისბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და იმპლანტოლოგიური კლინიკის დელეგაცია (პროფესორები: შტეფან ზიბერი, ანდრეას ჰამმანერი, ვიქტორ ვაილერტი და კარსტენ კრაბსი). ვიზიტის ფარგლებში კონსულტაცია გაენია ყბა-სახის პათოლოგიების მქონე 30-მდე პაციენტს, ხოლო 12 პაციენტს, ყბა-სახის მიდამოს თანდაყოლილი განვითარების მანკით, ჩაუტარდათ ქირურგიული ოპერაცია.

2016 წლის მინურულს ქირურგიის სამსახურის ხელმძღვანელის მოწვევით კლინიკას კვლავ ეწვივნენ ისრაელის წამყვანი პროფესორები იცხაკ ვინოგრადი (თელ-ავივის სოფრასკის სამედიცინო ცენტრი, თელ-ავივი, ისრაელი) და არკადი ვაჩინი (რამბამის სახელმწიფო სამედიცინო ცენტრი, ისრაელი), რომლებმაც, ვიზიტის ფარგლებში, სრულიად უანგაროდ ჩაატარეს 10 უნიკალური და ურთულესი ოპერაცია ლაპაროსკოპული მეთოდით.

კლინიკაში, სამუშაო და სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტის ფარგლებში, იმყოფებოდნენ პროფესორები: იცხაკ ვინოგრადი, რან შტეინბერგი და ტამარ შტეინბერგი (ისრაელი), რომლებმაც კონსულტაცია გაუწიეს 40-მდე პაციენტს და მათი ზედამხედველობით ჩატარდა რთული ოპერაციები ლაპაროსკოპული მეთოდით (მათ შორის, ფილტვის ექინოკოკოზის, ღვიძლის ექინოკოკოზისა და ღვიძლის თანდაყოლილი კისტის ლაპაროსკოპული ოპერაციები).

2013 წლიდან დღემდე, ყოველ წელს, 6 თვის მანძილზე, „DAAD“-ის პროგრამის დაფინანსებით, კლინიკაში საექიმო საქმიანობას ეწევა ბონის უნივერსიტეტის პროფესორი, დამსახურებული პედიატრ-გასტროენტერო-

ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო პაციენტების უფასო გასინჯვა, მონეულ სტუმრებთან და კლინიკის ენდოკრინოლოგებთან გაიმართა დისკუსია თემაზე „შაქრიანი დიაბეტის ფორმები ბავშვთა და მოზარდთა ასაკში“, დიაბეტთან ბავშვებს დაურვიდათ წამახალისებელი საჩუქრები და მათთვის ანიმაციური ფილმების გმირებმა წარმოადგინეს გასართობი შოუ-პროგრამა.

კლინიკაში, სამედიცინო საქმიანობის პარალელურად, ხორციელდება საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი პროცესები და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამები, რაც ნებისმიერ სფეროში განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. 2016 წლის 6 ივნისს თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში გაიმართა სემინარი „პედიატრიული ოფთალმოლოგიის აქტუალური საკითხები“.

თუმცა მასზე დასწრების საშუალება სხვა დანტერესებულ პირებსაც ჰქონდათ.

სემინარს წარუძღვა თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის ოფთალმოლოგი – ლეილა ცომაია.

2015 წლის 6-7 ნოემბერს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია – „ბავშვთა ნევროლოგიის აქტუალური საკითხები“, რომელზეც მოხსენებით წარდგა ევროპის წამყვანი კლინიკების 3 პროფესორი.

კლინიკის სამედიცინო პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საქველმოქმედო აქციებში მთელი საქართველოს მასშტაბით: 2015 წლის 6 ივნისს, საჩხერის მუნიციპალიტეტის და ორგანიზაცია „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ ინიციატივით და კლინიკის გენერალური დირექტორის, მედიცინის დოქტორის, ლია ძიძიგურის ორგანიზებით, კლინიკის ექიმებმა საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, მრავალპროფილური სა-

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა მრავალპროფილიანი ბავშვთა საავადმყოფოა, აღჭურვილი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, სადაც მოღვაწეობენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები. კლინიკა პაციენტებს სთავაზობს მაღალი სტანდარტის ამბულატორიულ, სტაციონარულ და სადიაგნოსტიკო სერვისებს.

კლინიკაში ფუნქციონირებს: თერაპიის სამსახური (ნეონატოლოგია, ბავშვთა სნეულებები, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა, ბავშვთა ნევროლოგია, რევმატოლოგია, ჰემატოლოგია, ალერგოლოგია); ენდოკრინოლოგიის სამსახური;

ქირურგიის სამსახური (ზოგადი ქირურგია, ბავშვთა ენდოსკოპია და ლაპაროსკოპია, ბავშვთა და მოზარდთა ყბა-სახის ქირურგია, ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია ზოგადი ანესთეზიით, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია);

კრიტიკული მედიცინის სამსახური; ანესთეზიოლოგიის სამსახური და საოპერაციო ბლოკი;

სასწრაფო-გადაუდებელი და ამბულატორიული მომსახურების სამსახური; ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევის სამსახური.

2015 წლის 13 ნოემბერს კლინიკაში მოეწყო ბავშვთა ენდოკრინოლოგიის ცენტრის საზეიმო გახსნა, სადაც, ამბულატორიულ ენდოკრინოლოგიურ მომსახურებასთან ერთად, შესაძლებელია სტაციონარული მომსახურების მიღება „იშვიათი დაავადებების სტაციონარული მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ბავშვთა ენდოკრინოლოგიის ცენტრში ფუნქციონირებს დიაბეტის სკოლა, სადაც ხორციელდება პაციენტებისა და მათი მშობლების განათლება.

2016 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დელსთან დაკავშირებით, თსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში უფასო ამბულატორიული გასინჯვები ჩატარდა. აქციაში ჩაერთნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების



შეილები. კლინიკას ესტუმრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი, ბატონი დავით სერგენკო. მინისტრმა დაათვალიერა კლინიკის განყოფილებები, მოინახულა პაციენტები და დაასაჩუქრა ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტის პირველი პაციენტი.

აქციის ფარგლებში უფასო მომსახურებით 300-მდე ბავშვმა ისარგებლა.

2016 წლის 14 ნოემბერს დიაბეტის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

სემინარზე განიხილეს მხედველობის დაქვეითებისა და სიბრმავის გამომწვევი მიზეზები, მათი დროული სკრინინგის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მნიშვნელობა ბავშვთა ასაკში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პირველად რგოლში – ნეონატოლოგიურ და პედიატრიულ პრაქტიკაში ოკულური სკრინინგის (თვალის გარეგანი დათვალიერება + ბრუკნერის ტესტი) აუცილებლობაზე.

სემინარი ძირითადად განკუთვნილი იყო პედიატრებისა და ნეონატოლოგებისთვის,

მედიცინო შემომგება და კონსულტაცია ჩაუტარეს საჩხერის რაიონში მცხოვრებ 500-ზე მეტ ბავშვსა და მოზარდს.

2016 წლის 14-17 დეკემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის – „წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) პროექტი აჭარაში“ – ფარგლებში, განხორციელდა მორიგი საქველმოქმედო აქცია, რომლის დროსაც პროფილაქტიკური გასინჯვები ჩაუტარდა ქობულეთისა და ხელვაჩა-

ლოგი მიხაელ იაკობუს ლენტეცი, რომელიც ქართველ კოლეგებთან ერთად კონსულტაციებს უტარებს კუჭ-ნაწლავის დაავადებების მქონე ბავშვთა ასაკის პაციენტებს. 2015 წლის 27 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისა და განუვლი ჰუმანიტარული დახმარებისთვის, პროფესორი მიხაელ ლენტეცი დაჯილდოვდა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლას ემსახურება საში თანამედროვე საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა:



აპოლონ ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა
(დავით აღმაშენებლის გამზირი №126, ტ.: 2 95 20 89);

თსუ-ის №1 სტომატოლოგიური კლინიკა
(დ. უზნაძის ქ. 2, მტკვრის მარცხენა სანაპირო; ტ.: 2 95 32 09);

თსუ-ის №2 სტომატოლოგიური კლინიკა
(ცოტნე დადიანის ქ. 303, ტ.: 2 66 23 61);

აღნიშნულ კლინიკებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მაღალკვალიფიციური ექიმი სტომატოლოგების მიერ წარმოებს სრული სპექტრის სტომატოლოგიური მომსახურება

იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი

ქართულ ფარმაცევტულ მეცნიერებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ-ფარმაცევტული განყოფილების დაარსებით, 1919 წლის შემოდგომაზე ჩაეყარა საფუძველი. 1932 წლის 5 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნიაღში ფარმაცოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა. 1937 წლიდან ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი სხვადასხვა უწყების დაქვემდებარებაში იყო. თითქმის რვა ათეული წლის შემდეგ, 2010 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი კვლავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშია.

წამალთმცოდნეობას საქართველოში უძველესი ტრადიციები აქვს, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამედიცინო დარგად ჩამოყალიბდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი აგრძელებს ახალ სამკურნალო საშუალებათა შექმნასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ინსტიტუტის არსებობის მანძილზე, მეცნიერ-თანამშრომელთა კვლევების შედეგად, შემუშავებულია 70-ზე მეტი სამკურნალო საშუალება და სასარგებლო მოდელი. ამჟამად ინსტიტუტს გააჩნია 16 ორიგინალურ სამკურნალო საშუალებაზე პატენტ-მფლობელობა, შესაბამისად, მეცნიერ-თანამშრომლებს - საავტორო უფლება. დღეისთვის 4 სასარგებლო მოდელი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ურნალშია.

თსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში. მისი ხელმძღვანელობით ტარდება არაერთი საერთაშორისო კონფერენცია.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი სამეცნიერო პოტენციალით, კადრებით და ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზით უმაღლესი კატეგორიის სამეცნიერო, კვლევით, საკონსულტაციო, სასწავლო და პრაქტიკულ დაწესებულებად ითვლება, როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის მეცნიერებისა და

დოქტორანტიებისათვის, მაგისტრანტებისა და სტუდენტებისთვის. ინსტიტუტი წარმატებულ სამეცნიერო თანამშრომლობას ეწევა უცხოეთის არაერთ წამყვან უნივერსიტეტთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან: მარსელი (საფრანგეთი), კეპტაი (კანადა), ლიუი (ბელგია), სალერნო (იტალია), ათენი (საბერძნეთი), არიელი (ისრაელი), აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტი, სომხეთის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრი და სხვ.

Crown Award" (IQCA) პრიზი და სერტიფიკატი. დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა 2015 წლის 21-23 ნოემბერს ლონდონში (დიდი ბრიტანეთი). თსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის დაჯილდოების საფუძველს წარმოადგენდა ორგანიზაცია Business Initiative Directions (BID) - ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი ლიდერია მართვის ხარისხსა და უნიკალურობის სფეროში.

ინსტიტუტი აერთიანებს არა მარტო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე, ყოველწლიურად წარმატებით ზრდის ექსპორტის მოცულობას არსებული ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზის საშუალებით. ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზაში ხორციელდება ინსტიტუტის მიერ შექმნილი სამკურნალო საშუალებების, სუბსტანციების, მზა წამლის ფორმების შემუშავება, აღწერა, მსხვილ-ლაბორატორიული და საცდელ-საწარმოო რეგლამენტის შედგენა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღება ქიმიური და ფარმაცოლოგიური კვლევებისთვის, აგრეთვე, კლინიკური აპრობაციისთვის.

მიმდინარეობს რა სამეცნიერო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია თსუ-ის და განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით, ინსტიტუტის ტერიტორიაზე შეიქმნა სტუდენტთა სრულად აღჭურვილი სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. შექმნილია, აგრეთვე: ანალიზური მალაქეფექტური სითხეოვანი ქრომატოგრაფი DAD, MS დეტექტორით, მაღალი ეფექტურობის სითხეოვანი ქრომატოგრაფი პრეპარაციული სვეტით; გაზური ქრომატოგრაფი ალიან იონიზაციური სვეტითა და მასის სპექტრომეტრით; ანალიზური მალაქეფექტური სითხეოვანი ქრომატოგრაფი.

პირველად საქართველოში, ლეანდოსის მეცნიერთა პატივსაცემად, მათ მიერ მეცნიერული და პრაქტიკული ფარმაცოქიმიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, თსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის ეზოში გაიხსნა „ფარმაცოქიმიის ხეივანი“ და მათი სახელობის „ვარსკვლავები“.

თსუ-ში ინსტიტუტის რეინტეგრაციის შემდეგ, უნივერსიტეტის მხარში დგომით, შესაძლებელი გახდა საქმიანობის წარმატებით გაგრძელება, არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შენარჩუნება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

გამოცემულია რამდენიმე ათეული მონოგრაფია, შრომათა კრებული, ათასობით სტატია რეფერირებულ და მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ურნალში.

თსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში. მისი ხელმძღვანელობით ტარდება არაერთი საერთაშორისო კონფერენცია.

ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი აღიარებულია, როგორც მონაწილე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში. წარმატებასა და აღიარებას მოწმობს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო სერტიფიკატი, თსუ-ის ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტის „International Quality



პ. ბახუტაშვილის სახელობის სახელობის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი

2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური სივრცის წევრია სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის მთავარი მიზნის - „ცოდნისა და კვლევის აკადემიური ხარისხის“ - შესრულებაში.

ბიოტექნოლოგია და ბიოინდუსტრია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სოცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში მიღწეულ პროგრესს, რაც, ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. ინსტიტუტი ამ მიმართულებით მუშაობს უკვე 25 წელი. ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, აქ ჩატარებულმა კვლევებმა დადებითი რეზონანსი გამოიწვია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე - საზღვარგარეთ.

აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით ადამიანის ექსტრაემბრიონული ქსოვილებიდან მიიღეს საცხობით ახალი პრეპარატი - პლაფერონი (1984წ., სსრკ-ის საავტორო მონობა). 2004 წელს პრეპარატი დაპატენტდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2009-2010 წლებში სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, წარმატებული სამეცნიერო მუშაობისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დაჯილდოებულია წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დიპლომით მედიცინის დარგში. პლაფერონის და პლაფერონ-ლბ-ს ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების შედეგების 500-მდე სტატია გამოქვეყნებულია საქართველოში, ყოფილ სსრკ-ის და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. დატულია 26 სადოქტორო და 200-მდე საკანდიდატო დისერტაცია.

ამ პრეპარატების შექმნა, სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელზე მისი გამოცდა (მათ შორის, ნაწილქროლოგიების გამოყენებით), მოქმედების მექანიზმების ახსნა მოლეკულურ დონეზე, და როგორც შედეგი - ფართო სამედიცინო პრაქტიკაში მისი ეფექტური დანერგვა, ახალი სამამულო სამკურნალო პრეპარატების შექმნისთვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში ამ ტრადიციებით დღესაც გრძელდება კვლევები. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მოდიფიცირებულია ძველი და შექმნილია ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებები. ინსტიტუტში მიმდინარე კვლევებმა ფინანსური მხარდაჭერა და თანადგომა მიიღო გრანტების სახით (შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, უკრაინის UNTC, შვეიცარიის SCOPES), დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი სამეცნიერო და კლი-

ნიკური ცენტრების უცხოელ პარტნიორებსა (ამშ, ინგლისი, ისრაელი, იტალია, პოლონეთი, ლიტვა) და ზოგიერთ ფარმაცევტულ კომპანიაში. 2011-2016 წლებში გამოქვეყნებულია 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის - მაღალრეიტინგულ და ავტორიტეტულ სამეცნიერო გამოცემებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით მხოლოდ სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტშია შესაძლებელი სხვადასხვა მოდელზე, მათ შორის, ცხოველებზე, ემბრიონებზე, უჯრედულ და ორგანულ კულტურებზე, ჩატარდეს მაღალი დონის სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერიმენტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 30 იანვრის 59 ბრძანებით დამტკიცებული „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ მიხედვით, თსუ-ის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში, კომპლექსური პროგრამის ფარგლებში, 2015 წლიდან ხორციელდება 10 ქვეპროგრამა, რომლებიც წარმოადგენილია შემდეგი მთავარი პრიორიტეტებით:

ქრონიკული დაავადებების პრევენცია და მკურნალობა მცენარეული საკვები ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით;

ასაკთან ასოცირებული ანთების მარკერების შეფასება ქართულ პოპულაციაში და მათი როლის დადგენა სხვადასხვა დაავადების ადრეული გამოვლენის და მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრისთვის;

ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების შედეგების 500-მდე სტატია გამოქვეყნებულია საქართველოში, ყოფილ სსრკ-ის და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. დატულია 26 სადოქტორო და 200-მდე საკანდიდატო დისერტაცია.

ბუნებრივი ცეოლიტების, პროტექტორული, ტოქსიკოლოგიური, იმუნო-მორფოლოგიური ასპექტების შესწავლა და მათ საფუძველზე სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების შექმნა;

ბრონქული ასთმის მკურნალობის უსაფრთხო ალტერნატიული საშუალებების ძიება;

ახალი სამკურნალო-ფორმების შექმნა და დახვეწა.

ინსტიტუტის საქმიანობის პრიორიტეტი იყო და არის ახალგაზრდა კადრების აღზრდა, რის გარეშეც თანამედროვე მეცნიერება ვერ იარსებებს და განვითარდება. თსუ-ის სტუდენტები აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ბევრი მათგანი ამჟამად მუშაობს უცხოეთის კლინიკებსა და ლაბორატორიებში. მომავალი ხუთი წლის მანძილზე რეალიზებული ქვეპროგრამების საშუალებით მოხდება, მინიმუმ, 8 დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომის მომზადება.



საერთაშორისო უნივერსიტეტები



მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიღწევები საერთაშორისო ურთიერთობების ასპარეზზე. ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს სამედიცინო უნივერსიტეტში განვითარების ოცნებაში მეტი ხნის ისტორია აქვს. უცხოეთის მოქალაქეები ინგლისურ ენაზე პროფესიულ განათლებას იღებენ მედიცინის ფაკულტეტზე 1996 წლიდან, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე - 2008 წლიდან, 2013 წლიდან - უკვე ფარმაციის ფაკულტეტზეც. 2012 წლიდან კი მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე უცხოეთის მოქალაქეებისთვის დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის რუსულენოვანი პროგრამები ამოქმედდა.

ამჟამად თსსუ-ში 2000-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს 60 ქვეყნიდან, მათ შორის, - ინდოეთიდან, შრი-ლანკიდან, თურქეთიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, კანადიდან, ისრაელიდან, ნიგერიიდან, ერაყიდან, ავსტრალიიდან, ცენტრალური ამერიკიდან და სხვ.

2012 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე გაიხსნა და აქტიურად ვითარდება საზოგადოებრივი პროგრამა - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“, რომელიც შემუშავდა გრენობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიასთან (UniMan) ერთობლივად. პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა ორმაგი დიპლომი - ქართული და ფრანგული, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმების და სწავლის გაგრძელების არეალს კიდევ უფრო გააფართოებს და მიზიდვებს ხდის.

2015 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და UniMan-ის ძალისხმევით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე შეიქმნა ერთობლივი საერთაშორისო ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა - „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა“.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ამოქმედდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) მედიცინის სკოლასთან ერთად.

TILAK-ის დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრის - AZW და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შორის

გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წელს ამოქმედდა საგანმანათლებლო პროგრამა ექთნებისთვის, რომელიც ქართველ ექთნებს საშუალებას აძლევს სტაჟირება გაიარონ და საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ავსტრიის კლინიკებში.

თსსუ არის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრი. ესენია: ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია (AMEE), ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA), ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (EMSA), ევრაზიის აბრეშუმის გზის უნივერსიტეტთა კონსორციუმი (ESRUC) და სხვ. თსსუ მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) და ა.შ.

ამჟამად თსსუ-ის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტების (ERASMUS MUNDUS, ERASMUS +, MEVLANA) ფარგლებში.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მიაღწია უდიდეს

წარმატებას ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამა - ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში გამართულ პრესტიჟულ კონკურსში, კერძოდ, დაფინანსდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი სამედიცინო უნივერსიტეტებისგან შექმნილი კონსორციუმი - MEDEA (MEDICAL Universities Alliance). თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ამ პროექტის ინიციატორი და რეგიონული კოორდინატორი.

პროგრამის ფარგლებში სრულად დაფინანსდება მოხილვა (ერთი ან მეტი სემესტრის) ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების, პოსტ-დოქტორებისა და ახალგაზრდა მკვლევარებისათვის. 2015 წლიდან თსსუ აქტიურად მუშაობს ERASMUS+ პროექტში ჩართულობისთვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება ტულუზის პოლ საბატეერის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი), პერუჯის უნივერსიტეტთან (იტალია), პავიას უნივერსიტეტთან (იტალია), სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტთან (საბერძნეთი), ტალინის ჯანდაცვის კოლეჯთან (ესტონეთი), პატრას უნივერსიტეტთან (საბერძნეთი), ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტთან (პოლონეთი), დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიის უნივერსიტეტთან (პოლონეთი),

პორტოს უნივერსიტეტთან (პორტუგალია), ჩესტერის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) და მიდელეუსექსის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი).

ზემოაღნიშნული პროგრამებით ყოველწლიურად უნივერსიტეტის 300-ზე მეტი სტუდენტი, რეზიდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე თუ გრძელვადიან მოხილვების პროგრამებში განათლების დიპლომამდელ, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შეტანილია WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორებში, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის/სკრინინგ ტესტის ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვ.) დასაქმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში.

2012 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა, რომელიც გულსხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოხილვას. ამ პროგრამის ფარგლებში 2012-2016 წლებში სამედიცინო უნივერსიტეტში თემატური ლექციები საბაზისო და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა დარგში წაიკითხა და რამდენიმე ტიპის სამედიცინო აქტივობა განახორციელა 330 უცხოელმა პროფესორმა, ჩატარდა კონსულტაციები და საექვემოქმედო ოპერაციები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მაღალი სტანდარტი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა წარმატებას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ მხოლოდ 2016 წელს აშშ-ის სალიცენზიო გამოცდების (USMLE) ჩასაბარებლად შესაბამის მარეგულირებულ ორგანოს განცხადებით მიმართა თსსუ-ის 250-ზე მეტმა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა.

საინტერესო და დინამიური საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესორა, ეფექტური მენეჯმენტი, განათლებისა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტი, თანამედროვე საგანმანათლებლო-კვლევითი ინფრასტრუქტურა - ეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი წარმატებების განმსაზღვრელი პირობებია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სრულფუნქციონირი ნაპირი

- ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია - EUA
- უნივერსიტეტთა დიდი ქარტია - Magna Charta Universitatum
- სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია - AMEE
- ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია - EMSA
- ევრაზიის აბრეშუმის გზის უნივერსიტეტების კონსორციუმი - ESRUC
- უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტების და ფიზიკური განათლებისა და სპორტის ინსტიტუტების საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინოვაციური-ტექნოლოგიური კონსორციუმი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს

- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია - WHO
- სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია - WFME
- უცხოელ სამედიცინო კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისია - ECFMG
- გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური - DAAD
- ამერიკის შერეობული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო - USAID
- მედიკოს სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია - IFMSA
- SUPRASS TECHNOLOGY AG
- ქირურგთა, გასტროენტეროლოგთა და ონკოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია - IASGO
- ამერიკულ-ავსტრიული ფონდი/ლია სამედიცინო ინსტიტუტი - AAF/OMI

პარტნიორი უნივერსიტეტები ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის საფუძველზე:

- ავსტრია**
 - გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტი - MUG
 - ვენის სამედიცინო უნივერსიტეტი - MUV
 - ტიროლის მხარის პოსპიტალთა გაერთიანება - TILAK
- აზერბაიჯანი**
 - აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - ASMU
- კავკასიის უნივერსიტეტი - QU**
- აშშ**
 - ემორის უნივერსიტეტი - EMU
 - ოლბანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა - SPHA
 - სკრენტონის უნივერსიტეტი - US
- ბელგია**
 - ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი - CUL
 - ლიეჟის უნივერსიტეტი - UL
- ბელორუსი**
 - ბელორუსის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების აკადემია - BMAPE
 - გროდნოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - GSMU
- ბულგარეთი**
 - სოფიის სამედიცინო უნივერსიტეტი - MUS
 - ვარნის სტოიანოვის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი - MUV
 - პლვენის სამედიცინო უნივერსიტეტი - PMU
- გერმანია**
 - იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი - FSUJ
 - დუსელდორფ-ესენის უნივერსიტეტი - UDE
 - კარლსრუეს ნეიროქირურგიული კლინიკა - KNC
 - ლუბეკის უნივერსიტეტი/ბორშტელის კვლევითი ცენტრი - UL/RCB
 - ოლდენბურგის კარდიოთორაკალური ქირურგიის კლინიკა - CSCO
 - ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი - CUMB
 - მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი - LMUM
 - ჰანოვერის სამედიცინო სკოლა - HMS
 - მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი - TUM
 - ასკლეპიოსის კლინიკების გაერთიანება - AKV
- თურქეთი**
 - აბანტი იზეთის უნივერსიტეტი - AIU
 - აღრი იბრაჰიმ ჩეჩენის უნივერსიტეტი - AICU

- ათათურქის უნივერსიტეტი - AU
- ეგეოსის უნივერსიტეტი - EU
- ერზინჯანის უნივერსიტეტი - EU
- შაჯეტეპეს უნივერსიტეტი - HU
- კავკასიის უნივერსიტეტი - KU
- ონდოკუზ მაის უნივერსიტეტი - IMU
- რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი - RTEU
- არდაღანის უნივერსიტეტი - AU
- ინდოეთი**
 - კიტის უნივერსიტეტი - KU
- ისრაელი**
 - ნეგევის ბენ გურიონის უნივერსიტეტი - BGUN
 - არიელის უნივერსიტეტი - AU
- იტალია**
 - ნეაპოლის მეორე უნივერსიტეტი - SUN
 - რომის უნივერსიტეტი „ტორ ვერგატა“ - UR "TOR VERGATA"
 - გენუის დელი სტუდის უნივერსიტეტი - UDSG
 - სალერნოს უნივერსიტეტი - UDSS
- კანადა**
 - კვებეკის უნივერსიტეტი ჩიკუტიმიში - UQAC
- ლატვია**
 - რიგის სტრადინის უნივერსიტეტი - RSU
 - დაუგავაპილის სამედიცინო კოლეჯი - DMC
- მაროკო**
 - კასაბლანკას ჰასან II უნივერსიტეტი - UHIIC
- მოლდოვა**
 - ნიკოლაე ტესტემიტანუს სახელმწიფო სამედიცინო და ფარმა-ცევტული უნივერსიტეტი - SMPU "NICOLAE TESTEMITANU"
- ნიდერლანდები**
 - როტერდამის ბეიბაქალთა უნივერსიტეტი - RUM
- ნორვეგია**
 - ბერგენის უნივერსიტეტი - BU
- პოლონეთი**
 - ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი - MUL
 - ვარშავის სამედიცინო უნივერსიტეტი - MUW
 - გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი - MUG
 - სილეზიის სამედიცინო უნივერსიტეტი კატოვიცეში - MUSK
 - პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი - PUMS
- რუმინეთი**
 - ბაბუშ-ბოლიაის უნივერსიტეტი - BBU

- მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი „კაროლ დავილა“ - CDUMP
- გალათის დანუბიუსის უნივერსიტეტი - DUG
- სიბიუს ლუჩიან ბლაგას უნივერსიტეტი - LBUS
- სომხეთი**
 - ერევანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - YSMU
- საფრანგეთი**
 - ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი - მარსელი 2 - UM AIX-MARSEILLE II
 - გაერთიანებული ერების უნივერსიტეტი - UNU
 - ვალ დე მარნის უნივერსიტეტი პარიზი 12 - UPEC
 - უნიმან - მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია - UniMan - AMP
- უკრაინა**
 - ბოგომოლცის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი - BNMU
 - ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - BSMU
 - ტერნოპოლის პორბაჩევსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - HTSMU
 - ხარკოვის დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემია - KHMAPU
 - ზაპოროჟიის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - ZSMU
 - ხარკოვის ფარმაციის ეროვნული უნივერსიტეტი
 - უკრაინის სამედიცინო სტომატოლოგიური აკადემია, პოლტავა - UMMA
 - დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია - DSMA
- უზბეკეთი**
 - სამარყანდის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - SSMU
- უნგრეთი**
 - ზემელევისის უნივერსიტეტი - SU
 - სეგედის უნივერსიტეტი - US
- ყაზახეთი**
 - ალმათის სამედიცინო განათლების სახელმწიფო ინსტიტუტი - ASIAME
 - დასავლეთ ყაზახეთის მარატ ოსპანოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - WKSMU
- შრი-ლანკა**
 - კოლომბოს უნივერსიტეტი - UC

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის სიზღვიანო დეპარტამენტი

კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის დეპარტამენტი უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით, თანამედროვე კომპიუტერული და მალაქტექნოლოგიური სასწავლო აპარატურით – სამედიცინო სიმულატორებით – აღჭურვილი სასწავლო ცენტრია, რომელიც მომავალი მედიკოსების მიერ კლინიკური უნარების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება.

ოსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას ინიციატივით და მხარდაჭერით, კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტი გახდებოდა თანამედროვე სამედიცინო სიმულატორებით და მულაჟებით – ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო კორპორაციების პროდუქტით, როგორებიცაა: Gaumard, Nasco Life/Form, Limb and Things, Laerdal, 3B Scientific, Kyoto Kagaky, Anato-mage. ისინი ანატომიურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ თვალსაჩინოებათა წარმოების ლიდერები არიან მსოფლიოში.



2012-2013 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი შევიდა მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმში, ხოლო საკუთრივ სასწავლო კურსის შინაარსი სრულად მოიცავს მედიცინის დარგობრივ საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ კლინიკურ უნარებს – მარტივი პროცედურებიდან მალაქტექნოლოგიური სიმულატორების გამოყენებით გადაუდებელი და რეანიმაციული პაციენტების სამედიცინო შემთხვევების სრულ მართვამდე. კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება მიმდინარეობს მეორე, მესამე და მეექვსე კურსებზე აბსოლუტურად განსხვავებული და საინტერესო პროგრამით, სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტთა ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით. სტუდენტები სიმულატორებზე და მანეკენებზე სწავლობენ უმარტივესი მანიპულაციების ჩატარებას. კანში, კუნთში, ვენაში ინიექციებს, ბაზისურ სასიცოცხლო ალგორითმზე



დაფუძნებულ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ახალშობილებსა და მოზრდილებზე, სისხლდენის შეჩერებასა და ნახვევის დადებას, გულსა და ფილტვის აუსკულტაციას, ნაკერების დადებას და სამედიცინო-გინეკოლოგიურ მანიპულაციებს.

ოსსუ-ის სტუდენტებს და რეზიდენტებს შესაძლებლობა აქვთ ცენტრის ბაზაზე გაიარონ პრაქტიკული სასწავლო კურსები მეანობასა და გინეკოლოგიაში, რეანიმაციაში, თერაპიაში და ქირურგიაში; უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ენდოსკოპიური ქირურგიის სასწავლო საშუალებების დანერგვა და მთელი რესურსის ინტეგრაცია ტელემედიცინის მიღწევებთან.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში გამოცდები OSCE-ის ტიპით (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) მიმდინარეობს, რაც მნიშვნელოვანი მინარსობრივი სიახლე და პროგრესული ნაბიჯია სამედიცინო განათლების სისტემაში.



2011 წლის დეკემბერში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის პროექტის – „დიპლომანტი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ – ფარგლებში ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი, რომლის ძირითადი მიზანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამედიცინო კვლევის საფუძვლებზე კურსის განხორციელება და სამედიცინო კვლევის კოორდინაცია.

ცენტრი, თავისი კომპეტენციების ფარგლებში, მიზნად ისახავს სტუდენტების განათარსებას:

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების და ცოდნის გამოყენების უნარები;
 - სამედიცინო პრაქტიკაში ბიოსამედიცინო კვლევის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების უნარები;
 - კრიტიკული ანალიზის, სწორი დასკვნების გაკეთების და მათი პრაქტიკაში განხორციელების უნარები.
- სტუდენტებისათვის სამედიცინო-კვლევითი უნარების ჩამოყალიბება მოიცავს:
- სამედიცინო კვლევის დაგეგმვა-ჩატარებას;
 - კრიტიკულ მეცნიერულ აზროვნებას;
 - შედეგების ინტერპრეტაციას;
 - სტუდენტის სამედიცინო ინტერესის სფეროში ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს;
 - სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი უშუალოდ ახორციელებს სამედიცინო კვლევის საფუძვლების კურსს, რომლის შინაარსსაც წარმოადგენს:
 - კვლევა და კვლევასთან დაკავშირებული სხვადასხვა დედინიციები;
 - სტუდენტის კვლევის პროექტი (რეფერატი, პრეზენტაცია);
 - კვლევის ტიპი და მეთოდოლოგია;
 - ინფორმაციის მოძიება სამედიცინო მონაცემთა ბაზებში;

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი



კვლევის დიზაინი და ტიპები (ობსერვაციული და ინტერვენციული); სტატისტიკა და კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამები;

- პუბლიკაციის მომზადება და გამოქვეყნება;
- საგრანტო პროექტის წერა და რეცენზირება.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრმა ჩაატარა არაერთი ღონისძიება და მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტრენინგებსა და პროექტებში.

2015 წელს ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (უკრაინა) ჩატარდა „მეო-

რე საერთაშორისო კონგრესი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვის“ (BIMCO-2015), თსსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სეციაში. მათ თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მასპინძლებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მეცნიერებს. თსსუ-ში მომზადებული ოთხი სამედიცინო პუბლიკაცია დაიბეჭდა უკრაინის ახალგაზრდა მეცნიერთა ჟურნალში – „Chist“ (Ukrainian Medical Journal of Young Scientists). ცენტრის დირექტორი, პროფესორი ლუიზა

გაბუნია და უფროსი სპეციალისტი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შორენა ხეცურიანი დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიღწევები სამედიცინო უნარ-ჩვევების ფორმირებაში, სტუდენტთა პრაქტიკული მომზადებისთვის“.

სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის აქტიური მონაწილეობით ყოველწლიურად ტარდება სამედიცინო ფესტივალი. ნელსაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2016“-ში სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე. სწორედ ზემოაღნიშნული კვირეულის ფარგლებში, სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია – „ჯანსაღი ცხოვრების წესი, მეცნიერული მტკიცებულებები საკამათო საკითხები“, ასევე, ტრენინგი – „ბიოსამედიცინო კვლევის პრაქტიკული საკითხები“. წარმოდგენილმა თემატიკამ დაამსრვა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ის პრაქტიკული კუთხით ასახავდა ახალგაზრდა მეცნიერებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ძირითად საკითხებს.

ზემოაღნიშნული ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული ახალი სახელმძღვანელოს – „სამედიცინო კვლევის მეთოდოლოგია და უნარ-ჩვევების“ პრეზენტაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი მომავალშიც გეგმავს უამრავი საინტერესო სამედიცინო ხასიათის ღონისძიების და კონფერენციის ჩატარებას, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულები ახალგაზრდა მედიკოსები.

სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ძირითადი მიზანია: უნივერსიტეტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავება, სწავლის, სწავლების და სტუდენტთა ცოდნის შეფასების მოდერნიზაცია, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების შემუშავება და განხორციელება.

ამ მხრივ დეპარტამენტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, სახელდობრ:

2009-2012 წლებში დეპარტამენტის მცდელობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონაწილეობა ევროპის სამედიცინო განათლების თემატურის ქსელის MEDINE-2-ის საქმიანობაში. MEDINE-2 შეიქმნა ევროგაერთიანების ქვეყნებში ბოლონის პროცესის მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავების მიზნით. აღსანიშნავია, რომ MEDINE-2-ში არაერთი კავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო და თურქეთი იყო განვითარებული, ამასთან საქართველოს წარმომადგენელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, ვიკე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიანაშვილი და უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დე-

პარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გაიანე სიმონია). უნივერსიტეტის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ MEDINE-2-ის სამუშაო ჯგუფებში (ედინბურგი, 2010; ბუდაპეშტი, 2011; ვენა, 2011; ედინბურგი, 2012) და დიდი წვლილი შეიტანეს ევროპაში დიპლომანტი სამედიცინო განათლების კურს-დამთავრებულთა კომპეტენციების შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ MEDINE-2-ის სამედიცინო განათლების სტანდარტების საფუძველზე, წევრი ქვეყნებიდან, პირველად საქართველოში, შემუშავდა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები, რაც საფუძველად დაედო საქართველოში უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებს.

2011-2014 წლებში ევროკომისიის მიერ დაფინანსდა დეპარტამენტში შემუშავებული სამსლიანი პროექტი „დიპლომანტი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“ (Modernising Undergraduate Medical Education in EU Eastern Neighbouring Area). პროექტი მიზნად ისახავდა სამედი-

ცინო განათლების თვისობრივ გარდაქმნას – ევროპული სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ახალი მოდელის შემუშავებას და დანერგვას საქართველოს, უკრაინის და აზერბაიჯანის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში.

პროექტის კოორდინატორი იყო ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ლიდის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტრუდი რობერტსი.

პროექტის განხორციელების პერიოდში ტრენინგი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში (ლიდის უნივერსიტეტში, უტრეხტის უნივერსიტეტის აკადემიურ ცენტრში, გრანადის და რომის უნივერსიტეტებში) ტრენინგი გაიარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის 15-მა პროფესორმა.

მელსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს გამოცდილი ექიმი პროფესორული საქმიანობის განხორციელებისას. ეს მეთოდი აშკარად ინერგება ევროპის და აშშ-ის ბევრ ნაშევან სამედიცინო სასწავლებელში და მიჩნეულია სტუდენტების კლინიკური აზროვნების განვითარების მუქად ეფექტურ ინოვაციად. 2015 წელს ქ. გლაზგოში ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის კონფერენციაზე სპეციალური სხდომა მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინიციატივით ქართულ ენაზე შეიქმნა და გამოიცა სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, სამედიცინო და კლინიკურ უნარ-ჩვევებზე ინგლისურ და ქართულ ენებზე, გამოიცა თანამედროვე სახელმძღვანელო კლინიკურ გეორიატრიაში.

2015-2016 წლებში დეპარტამენტის ინიციატივით ქართულ ენაზე შეიქმნა და გამოიცა სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, სამედიცინო და კლინიკურ უნარ-ჩვევებზე ინგლისურ და ქართულ ენებზე, გამოიცა თანამედროვე სახელმძღვანელო კლინიკურ გეორიატრიაში.

ამჟამად დეპარტამენტის წინაშე დგას მუქად საპასუხისმგებლო ამოცანა – უნივერსიტეტის მომავალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და საერთაშორისო პერსონალის მზადება – ამ მიზნების განხორციელება მნიშვნელოვან შედეგებს ხელს სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ინტერნაციონალიზაციას და უნივერსიტეტის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას.



სტუდენტებს, რეზიდენტებს, პედაგოგებს - ყველას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აინტერესებს, თუ რა სიახლეებს შესთავაზებს მათ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ახალ, 2017 წელს. რა შეიცვლება და როგორ აპირებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და ბიბლიოთეკის კოლექტივი მუშაობის გაუმჯობესებას და უკეთესი სამუშაო პირობების შექმნას სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ცვლილებები, მართლაც, მნიშვნელოვანია მოსალოდნელი:

უპირველეს ყოვლისა, დიდ სამკითხველო დარბაზში მასიური, თორმეტადგილიანი მაგიდები შეიცვლება ახალი, ორადგილიანი მაგიდებით, რითაც უკეთესად იქნება უზრუნველყოფილი მშვიდი გარემო სასწავლო მასალების ასათვისებლად, ხოლო კოლექტიური

ბიბლიოთეკა

მეცადინეობის მსურველთათვის გამოიყოფა ე.წ. სადისკუსიო ოთახები, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, შეასრულონ ერთობლივი სამუშაო დაავლებები, განიხილონ სხვადასხვა თემა და გამართონ დისკუსია.

კომპიუტერულ დარბაზში ძველი მოდელის კომპიუტერული ტექნიკა შეიცვლება ახალი, მძლავრი კომპიუტერებით, რომლებიც ინტერნეტში ჩართული იქნება საკაბელო ქსელით. იშუშავებს, აგრეთვე, უკაბელო (Wi-Fi) ინტერნეტის, რომელიც სრულად ფარავს როგორც მთელ ბიბლიოთეკას, ასევე, მის წინ

მდებარე ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია ლეპტოპებით, მობილური ტელეფონებით, პლანშეტებით თუ ტაბლეტებით ინტერნეტში ჩართვა. დაეგმილია სტუდენტებისთვის ინდივიდუალურად ლეპტოპების გაცემის ორგანიზება ადგილზე მოხმარების მიზნით.

სიახლეებია ინტერნეტის საძიებო, სამეცნიერო და სასწავლო ბაზებით სარგებლობის სფეროშიც: განახლდა ხელშეკრულება ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, 2017 წლის ბოლომდე HINARI-ს, სამედიცინო ჟურნალების სრულტექსტოვანი ბაზებზე თავისუფალი წვდომის შესახებ. რუსთაველის

ფონდის გრანტით თსუ-ის კომპიუტერული ქსელიდან შესაძლებელია Elsevier-ის პლატფორმების: Cienc Direct-ის და Scopus-ის ბაზებით სარგებლობა. ინტერნეტის საძიებო და საგამომცემლო კორპორაცია EBSCO IndustriesInc-თან პირდაპირი ხელშეკრულების გაფორმებით, თსუ-ის შესაძლებლობა ექნება, ფლობდეს ლიცენზიას Book Clinical Collection-ის 3000-მდე ელექტრონულ წიგნზე და, აგრეთვე, - The Scientific & Medical ART Image base (SMART Imagebase)-ის გრაფიკულ მონაცემთა ბაზებში თავისუფალი წვდომის უფლებას, რეცენზირებული სამედიცინო ილუსტრაციებით და ანიმაციური კლიპებით, რომლებიც სპეციალურად შექმნილია სამედიცინო სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისთვის.

თანამედროვე სამყაროში ცხოვრება, კომუნიკაცია და წარმატებული პროფესიული საქმიანობა წარმოუდგენელია უცხოური ენების ცოდნის გარეშე. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ბოლო წლების პროცესის მონაწილე ევროპულ უნივერსიტეტთა დიდი ოჯახის წევრია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ენების ცენტრის ძირითადი ამოცანაა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურსკურსების ფარგლებში, ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სამედიცინო უცხოური ენისა და ტერმინოლოგიის (ლათინური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სწავლება, ასევე, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ცოდნის სრულყოფა უცხოურ ენებში სპეციალური პროგრამების და სასწავლო კურსების მიხედვით.

ცენტრთან მოქმედებს უცხოური ენების ინტენსიური სწავლების ფასიანი კურსები, სადაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან როგორც უცხოურ ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული), ტრადიციული და ზოგადი გაგებით, ასევე, დარგობრივ სამედიცინო ენასა და ტერმინოლოგიას. მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია. კურსებზე მიიღებიან როგორც სტუდენტები, ისე ექიმები და სხვა დაინტერესებული პირები. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე სასწავლო მასალები;

უცხოური ენების ცენტრი

ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, სადაც მეცადინეობები ტარდება უახლესი კომპიუტერული პროგრამებით, როგორც მასწავლებლების ზედამხედველობით, ისე - დამოუკიდებლად. კურსის დასასრულს გაიცემა ევროპული ენების სწავლების ერთიანი ჩარჩო-პროგრამის შესაბამისი დონის (A1,A2,B1,B2,C1) სერტიფიკატი. კურსებზე შესაძლებელია, აგრეთვე, მეორე ან მესამე უცხოური ენის დაუფლება. ცენტრში არსებობს თურქული ენის უფასო კურსები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

ცენტრის თანამშრომლების მიერ გამოიცა სახელმძღვანელოები ინგლისურსა (English for Medical Professions) და გერმანულ (Deutsch für Mediziner) ენებში, რომლებიც წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში. უცხოური ენების ცენტრის 2014 წლის 1 ოქტომბრიდან აქვს UNICERF-ის აკრედიტაცია და გაცემს უცხო ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს აკრედიტებულ ენებში (გერმანული, ინგლისური), ცოდნის დონის საფეხურების შესაბამისად. ეს სერტიფიკატი

სტუდენტებს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში და პროფესიული პრაქტიკა გააიარონ ევროკავშირის ქვეყნებში.

ცენტრში მიღებული უცხოური ენების ცოდნა თსუ-ის სტუდენტებმა პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენეს უნივერსიტეტში აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორ-მედიკოსების მასპინძლობის დროს. სტუდენტების მიერ ნაკითხული ლექციები, სადაც ეს საჭირო იყო, სტუდენტებმა სინქრონულად წარმატებით თარგმნეს და უცხოელი პროფესორების და მსმენელების მონაწილეობა დაიმსახურეს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრი ქართულ-გერმანული ურთიერთობების განვითარებაშიც აქტიურადაა ჩართული. მას განსაკუთრებით ხანგრძლივი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს გერმანულენოვანი ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებთან. უცხოური ენების ცენტრში მოპოვებული სერტიფიკატის დახმარებით სტუდენტებს შე-

საძლებლობა აქვთ პრაქტიკა გააიარონ გერმანულენოვან კლინიკებში ან მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

სტუდენტებს, რეზიდენტებს და ექიმებს, ჩვენს პარტნიორ ბერლინის და მიუნსტერის უნივერსიტეტებში (გერმანია) ვთავაზობთ როგორც ზოგად, ასევე დარგობრივ სამედიცინო გერმანული ენის საზაფხულო კურსს. გერმანიაში ყოფნისას მათ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობონ გერმანიის კლინიკები და გაეცნონ გერმანიის ჯანდაცვის სისტემას. ენის კურსების დამთავრების შემდეგ მონაწილენი მიიღებენ საერთაშორისო ენის დიპლომს გერმანულ ენაში, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ, გააგრძელონ სწავლა გერმანიის უნივერსიტეტებში ან დაიწყონ პროფესიული საქმიანობა ევროკავშირის ქვეყნებში.

2017 სასწავლო წელს უნივერსიტეტის სტუდენტებს, ასევე კლინიკების თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს ცენტრი ვთავაზობს თვეში 40 ლარად ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან ლათინური ენის კურსებს. ცენტრის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გაკვეთილებს ასევე ადგილზე, კლინიკებში ატარებენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ცენტრის კარი ღიაა თქვენთვის - მოემზადეთ წარმატებისთვის!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრი მდიდარი კულტურული ცხოვრებით და განსაკუთრებული სპორტული მიღწევებით გამოირჩეულია.

უნივერსიტეტის სპორტულ ბაზებზე რეგულარულად ტარდება შიდასაუნივერსიტეტო სპორტული შეჯიბრებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტები.

უნივერსიტეტის ქართველ და უცხოელ სტუდენტთა გამარჯვების მკაფიო და თვალსაჩინო დასტურია გასული წლის სპორტულ მიღწევათა შთამბეჭდავი ნუსხა: კვიპროსის ქ. ნიქოზიაში მსოფლიო სტუდენტურ უნივერსიადაზე თსუ-ის წარგზავნილმა, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა, დავით ნარიშკინმა, ჭიდაობა-სამბოში დაიკავა III საპრიზო ადგილი; ფარმაცის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, ჭაბუკა ჭილაძემ, ახალგაზრდებს შორის დაამყარა მსოფლიო რეკორდი ძალისმიერ სამჭიდში; თურქეთის ათათურქის უნივერსიტეტში გამართულ ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში თსუ-ის ნაკრებმა გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის ჩატარებულ ბილიარდის ჩემპიონატში მედიცინის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი - ხატია ვაშაძე ჩემპიონი გახდა; გორში, საქართველოს ჩემპიონატზე, სამჭიდსა და ნოლჭიმში, ჩვენი უნივერსიტეტის წარგზავნილებმა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტმა, პავლე ლალაძემ, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტმა, გიორგი მეტევიძემ და ფარმაცის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, ჭაბუკა ჭილაძემ, ნონითი კატეგორიების მიხედვით ოქროს მედლები მოიპოვეს. ასევე, ქუთაისში, საქართველოს ჩემპიონატზე მას-რეს-ლინგში ჩვენი უნივერსიტეტის სტუ-

სპორტი, კულტურა და ხელოვნება



დენტმა სპორტსმენებმა: გიგა კობაღიძემ და პავლე ლალაძემ I ადგილი დაიკავეს, ხოლო გიორგი მეტევიძემ, თავის ნონითი კატეგორიაში - II საპრიზო ადგილი. საქართველოს „უნივერსიად-2016“-ში მონაწილე სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი სპორტსმენების მონაპოვარია 5 ოქროს, 7 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი. ჩვენმა უნივერსიტეტმა, 45 აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელს შორის, მედლები რაოდენობის მიხედვით დაიკავა მეორე ადგილი. თსუ-ის სტუდენტმა სპორტსმენებმა 13-დან 10 სახეობაში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის: ბადმინტონი - 2 ოქროს (მუბაზან შატაბუ კულკარნი, ბრუნე ნილაჯ), 2 - ბრინჯაოს მედალი (ვიკე ვერუ, ამირტა ნაიერ), სამბო - ოქროს მედალი (დავით ნარიშკინი), ნოლჭიმი - 2 ოქროს მედალი (ჭაბუკა ჭილაძე, სოლომონ თედიშვილი), ქართული ჭიდაობა - ვერცხლის მედალი (დავით ნარიშკინი), ქვის ფრენბურთი (გოგონები) - ვერცხლის მედალი (რუსუდან ბურუსულია, კორთანა პალანისვაში), მკლდჭიდი - 4 ვერცხლის მედალი (ჭაბუკა ჭილაძე,

ბექა მახათაძე, გიორგი ჩიხრაძე, გიორგი გუტიკაშვილი), ცურვა - ბრინჯაოს მედალი (სივამრმიონ სივანესანი), ძიუდო - ბრინჯაოს მედალი (დავით ნარიშკინი), მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟე-გოგონები) - ბრინჯაოს მედალი (სოლომონ ერგემიძე, ლუკა გვერცხაძე, ნიმეში ვიჯიკონ, პირის ნაოდეა). თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი - „ქართული ფოლკლორი“ დრამატული თეატრი - „პიგია“, თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი - „ვეგა“, ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლი - „დეკა“, საესტრადო ჯგუფი, კლასიკური მუსიკის განყოფილება, მხიარულთა და სახრიანთა გუნდი - „პოზა ნოსტრა“ - საუკეთესო ასპარეზო შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტებისათვის. შთამბეჭდავია სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ - „ქართული ფოლკლორის“ სამ ათეულ წელზე მეტ ხნის ისტორია და მიღწევები: ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების

წურ-ამერიკული და სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი - „ვეგა“, რომელიც მრავალჯეროვანი საკონცერტო პროგრამით აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო კულტურულ ცხოვრებაში.

მაყურებელთა დიდ მონაწილეს იმსახურებს კლასიკური მუსიკის განყოფილების წევრთა მიერ ჩატარებული სოლო კონცერტები და ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლ „დეკას“ კონცერტები და საქველმოქმედო ღონისძიებები მთელი ქვეყნის მასშტაბით. სპორტისა და ხელოვნების ცენტრში მოქმედებს სპეციალური კაბინეტი, რომელიც ემსახურება სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს. 2016 წელს სპეციალური კაბინეტის მომსახურებით ისარგებლა 600-ზე მეტმა ადამიანმა.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
გაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64

რედაქტორი
ლელა ჯიყაშვილი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaperstmu@gmail.com